შრომითი მიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების კვლევა

ანგარიში

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Civitas GEORGICA

კვლევის ანგარიში მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაკვეთით, პროექტის - „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“-პროექტის ფარგლებში.

კვლევის ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, ის შესაძლოა არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

აპრილი, 2025
თბილისი, საქართველო

სარჩევი

სარჩევი **2**

დიაგრამების ჩამონათვალი **60**

წინათქმა **0**

შესავალი **2**

1. მეთოდოლოგია **4**

1.1. რაოდენობრივი კვლევა **4**

1.2. თვისებრივი კვლევა 6
1.3. საჯარო ინფორმაცია 7
1.4. ვალიდაციის სემინარი 8
1.5. კვლევის შეზღუდვები 8

2. კვლევის მიგნებები **10**

2.1. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლები და მშობლების მიგრაციული პროფილი 10
2.2. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა 13
2.2.1. ზოგადი მიმოხილვა 13
2.2.2. მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი 14
2.2.3. აგრესიის გამოვლინება და ქცევითი სირთულეები 15
2.2.4. მშობელთან განშორების პირველადი ფსიქო-ემოციური გავლენა 19
2.2.5. განმარტოების სურვილი, გულჩათხრობილობა და მარტოობა 23
2.2.6. კომუნიკაციასთან დაკავშირებული ემოციები 24
2.2.7. თვითდამაზიანებელი ქცევა, სუიციდური ფიქრები და მცდელობა 24
2.2.8. დანაშაულის ჩადენის რისკ ფაქტორი 25

3. სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა მშობლის მიგრაციის პირობებში **26**

4. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების გამოწვევები საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესში **30**

4.1. ყურადღებისა და კონცენტრაციის დეფიციტი 31
4.2. უარი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარულზე 32
4.3. ასაკისა და განვითარების დონის შეუსაბამო პასუხისმგებლობების გავლენა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობაზე 34

5. კომუნიკაცია სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობლებთან **36**

6. მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებები **39**

7. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული გამოწვევები **41**

8. მუნიციპალურ დონეზე არსებული გამოწვევები **51**

9. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ოჯახებში არსებული გამოწვევები *52*
დასკვნა *54*
რეკომენდაციები *56*

ბიბლიოგრაფია **59**

წინათქმა

მაია ნასრაშვილი

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, პრეზიდენტი

როდესაც კვლევის პირველადი შედეგების გაცნობის შესაძლებლობა მომეცა, ფოკუს ჯგუფების შეხვედრიდან ერთ-ერთი ფრაზა - „რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიცოდი, რომ მე დედა მაინც არ დამიძახებდა“ - სამუდამოდ დარჩა ჩემსა და კივიტას გეორგიკას გუნდის ყველა წევრის გულში.

კვლევის ჩატარება საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ დროს მოგვიწია, ზოგჯერ განსაკუთრებით რთული იყო ემოციებთან გამკლავება და კვლევის დაგეგმილ რელსებზე ტარება. სწორედ ამიტომ, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ორგანიზაციისა და პირის მიმართ, ვინც შემოქმედებითად, გულწრფელად და პროფესიონალურად მოეკიდა ამ კვლევის განხორციელებას - განსაკუთრებით, მკვლევრების, ჩვენი პარტნიორების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უპირველეს ყოვლისა, იმ ბავშვებისა და ოჯახების მიმართ, რომლებმაც გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილებები.

მსოფლიოში მილიონობით ბავშვია სამშობლოში დარჩენილი ერთი ან ორივე მშობლის შრომითი მიგრაციის შედეგად. შრომით მიგრაციას, დადებითი გავლენის გარდა, ახლავს სოციალური დანაკარგებიც - მშობლის ხანგრძლივი არყოფნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე: იზრდება ფსიქო-სოციალური სირთულეების, განათლების დონის შემცირების, ადრეული ქორწინების, კანონთან კონფლიქტში მოხვედრის რისკი. მიუხედავად ამისა, შრომითი ემიგრანტების სამშობლოში დარჩენილი შვილები, ძირითადად უხილავი რჩებიან საჯარო დისკურსისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

არ არსებობს გლობალური შეფასებები ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი შვილების რაოდენობის შესახებ. გაეროს ბავშვთა ფონდის მიხედვით, ცენტრალური აზიიდან მიგრანტ ქალთა 58%-მა დატოვა 16 წლამდე ასაკის ბავშვები თავიანთ ქვეყნებში.[1] არსებული მონაცემებით, მიგრანტი მშობლების ბავშვები, ძირითადად, დაბალი/საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში არიან თავმოყრილნი - აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში.[2]

---

[1] UNICEF (2021).

[2] Wickramage *et al.* (2015).

საქართველოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები წყაროებსა და ლიტერატურაში თითქმის არ მოიპოვება. ასეთი ბავშვების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოსა და მოლდოვაში ჩატარებული მცირემასშტაბიანი კვლევაში, რომელიც მოიცავს 2011-2012 წლების პერიოდს. ამ კვლევის მიხედვით, ქართველი ბავშვების დაახლოებით 39% ცხოვრობს ოჯახებში, რომელთა მინიმუმ ერთი წევრი შრომით მიგრაციაში იმყოფება.[3]

საერთაშორისო ასოციაციამ „კივიტას გეორგიკა“ ოთხი წლის წინ დაიწყო სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საკითხებზე მუშაობა. წლების განმავლობაში, საერთაშორისო დონორების დაფინანსებამ, საშუალება მოგვცა ჩავღრმავებოდით ამ თემებს და გაგვეზარდა ექსპერტიზა ამ მიმართულებით. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომელთა პირდაპირი ვალდებულებაცაა ბავშვების მხარდაჭერა,[4] არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები. მეტიც, საქართველოში არ გროვდება ასეთი ბავშვების რაოდენობისა და საჭიროებების შესახებ მონაცემები და ისინი უხილავნი არიან საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ეს კვლევა წარმოადგენს ამ მრავალწლიან გზაზე დაგროვილი გამოცდილების გაგრძელებას.

ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებისა და მათი გამოცდილებებისა და საჭიროებების, მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაფინანსებით, განხორციელდა პროექტი „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“. წინამდებარე ანგარიშში ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

იმედი გვაქვს, რომ კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ბავშვზე მორგებული, ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს მშობლების მიგრაციით გამოწვეულ რისკებს და ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობას.

[3] Cebotari *et al.* (2018).

[4] ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019) აღწერს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში.

შესავალი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, გლობალიზაციის, დეკოლონიზაციის, ტრანსნაციონალური მობილობის ზრდასთან ერთად, ჩნდება კვლევები საერთაშორისო მიგრაციის, მათ შორის, შრომითი მიგრაციის, მისი გამომწვევი მიზეზებისა, და ისეთი თანმხლები მოვლენების თუ გამოწვევების შესახებ, როგორებიცაა ეკონომიკური თუ სოციალური ინტეგრაცია, დიასპორების ჩამოყალიბება, მიგრაციის ფემინიზაცია, იდენტობის ფორმაცია და ტრანსფორმაცია, ფულადი გზავნილები და სხვა. თუმცა, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფენომენი მიგრაციის კვლევებში შედარებით გვიან ჩნდება და ცოდნა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით ზოგიერთ რეგიონში - თუ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში შედარებით ხშირად გვხვდება კვლევები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების გარშემო, სხვა რეგიონებში ამ მიმართულებით ცოდნის ნაკლებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალურ საკითხთა, ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტმა 2020 წელს შეიმუშავა რეზოლუცია - „შრომითი მიგრაციის გავლენა ემიგრანტების ბავშვებზე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სიღარიბით გამოწვეულ შრომით მიგრაციას დამანგრეველი ზემოქმედება აქვს სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე, რომლებიც ხშირად მოკლებულნი არიან საბაზისო ზრუნვას, დაცვას და მხარდაჭერას და რომ ამ ფენომენის მასშტაბები ზოგიერთ ქვეყანაში საგანგაშოა.[5] მიუხედავად ამისა, სამშობლოში დარჩენილი ბავშვები ძირითადად უხილავი რჩებიან საჯარო დისკურსსა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამასთან, სახელმწიფოები არც შესაბამის სტატისტიკას აწარმოებენ, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ საჭიროებებზე ეფექტურ რეაგირებას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამ საკითხების ინტეგრირება მიგრაციისა თუ საჯარო პოლიტიკის კვლევის პროცესშიც, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ 1990 წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის ნგრევის, საზღვრების გახსნისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური კრიზისების შედეგად, ამ ქვეყნებიდან შრომითი ემიგრაცია მზარდია.

მიუხედავად ამ ტენდენციებისა, მიგრაციის კვლევა საქართველოშიც მწირი და ფრაგმენტულია. მით უფრო ფრაგმენტულია სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების კვლევა. როგორც ვანორე[6] აღნიშნავს, საქართველოში ბოლო ათწლეულებში ჩატარებულ ამ მწირ კვლევათაგან ერთ-ერთში, მიგრაცია არ არის მხოლოდ მიგრანტების გამოცდილება, არამედ მათიც, ვინც სამშობლოში რჩება. წინამდებარე კვლევაც აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალურ ოჯახში ცხოვრება, როგორც მიგრანტი მშობლებისთვის, ისე სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისთვის, არის „ცხოვრება იძულებით მონატრებაში“. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა სრულიად

[5] Council of Europe Parliamentary Assembly (2020).
[6] Vanore (2015).

გარდაქმნა კომუნიკაციის ფორმები და შესაძლებელი გახადა ტრანსნაციონალური ოჯახების ვირტუალური თანაცხოვრება, მშობლის მიგრაციის შემდეგ, სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციების გავლა უწევთ, რაც საფრთხეს უქმნის მათ ფიზიკურ და ემოციურ კეთილდღეობას და აფერხებს მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციას.[7]

მშობლისგან შორს ყოფნა ბავშვებისთვის ხშირად მოულოდნელი და დიდი ემოციური დარტყმაა, რაც შემდგომ უარყოფითად აისახება მათი განვითარების, სოციალიზაციის, საგანმანათლებლო, თუ სხვა პროცესებზე. ამის თავიდან ასარიდებლად კი დროებითი ზომები საკმარისი არ არის. შრომითი მიგრაციის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისა და მისი საზიანო შედეგების შემცირების მიზნით, საზოგადოებებმა უნდა გააცნობიერონ ამ ფენომენის მასშტაბი და მისი შესაძლო გრძელვადიანი გავლენები. ამასთან საჭიროა შრომითი მიგრაციის რეგულირების ჰოლისტური მიდგომების ჩამოყალიბება, რომლებიც ფოკუსირდება ბავშვთა კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებებზე, იქნება გენდერულად სენსიტიური და სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი.[8] საქართველოში მიგრაციის მართვის მიმართულებით ჰოლისტური და გრძელვადიანი მიდგომების მნიშვნელობაზე საუბრობს ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებიც - სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ მიგრაციაზე ფოკუსირებული, ვიწრო მასშტაბის მქონე პროგრამებით, ამდენად, მნიშვნელოვანია ქვეყნის არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რეფორმირება,[9] რომ შემცირდეს ემიგრაციის მაჩვენებელი, გაიზარდოს დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მაჩვენებელი, და შესაბამისად, შემცირდეს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების რაოდენობაც.

წინამდებარე კვლევა ზემოთ აღნიშნული ნაპრალების ამოვსებაში წვლილის შეტანის მცდელობაა, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების, მათ წინაშე არსებული გამოწვევების კვლევის გზით, თუმცა იმის გაცნობიერებით, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრა, ისევ და ისევ, შეუძლებელი იქნება ქვეყანაში სისტემური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გარეშე. ამასთან, კვლევა აჩვენებს, რომ არა მარტო სამშობლოში დარჩენილი ბავშვების, არამედ ზოგადად ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, მათი კეთილდღეობის ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია სისტემური ცვლილებები საგანმანათლებლო სექტორშიც. ამის გაცნობიერების ფონზე, კვლევა ცდილობს არსებულ ვითარებასთან ადაპტირებული, მყისიერ შედეგებზე ორიენტირებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

[7] ICMPD (2023).
[8] Badea (2020).
[9] ზუბაშვილი და ჩაჩავა (2023).

1. მეთოდოლოგია

სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებისა და მათი გამოცდილებებისა და საჭიროებების, მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით, კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შერეული - **რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, ისევე, როგორც საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია და საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები.** კვლევის ინსტრუმენტები ჩამოყალიბდა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ბოლო რამდენიმე ათწლეულში ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

> კვლევის მიზნებისთვის, **შრომით მიგრანტად** განისაზღვრა პირი, რომელიც სულ მცირე 6 თვის განმავლობაში იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დასაქმების მიზნით, **სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს** კი კვლევაში განვსაზღვრავთ, როგორც მიგრანტი მშობლების საქართველოში მცხოვრებ არასრულწლოვან შვილებს.
>
> ტერმინი **Left Behind Children** - ვეცადეთ გვეთარგმნა იმგვარად, რომ მაქსიმალურად ავიცილოთ სტიგმატიცაზია.

1.1. რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი სკოლამდელი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე იმ პრაქტიკებისა და მახასიათებლების შესწავლა, რომლებიც უკავშირდება შრომითი მიგრაციის პირობებში ბავშვების მდგომარეობასა და დაწესებულებების რეაგირების შესაძლებლობებს.
კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო სრული გამოკითხვა, რაც გულისხმობდა, რომ მიზნობრივი შერჩევის ნაცვლად, გამოკითხვა ჩატარდა ყველა იმ საჯარო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS), (სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა აღნიშნული ბაზა, რაც უზრუნველყოფდა მაღალი სანდოობის, წარმომადგენლობისა და შერჩევითი ცდომილების გამორიცხვის წინაპირობებს.

- **მონაცემების შეგროვების პროცედურა**

გამოკითხვა ჩატარდა თვითადმინისტრირებული ონლაინ კითხვარის გამოყენებით, რომელიც განაწილდა 2024 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი იყო თითოეული ბაღის დირექტორი, მენეჯერი ან მისი მოადგილე. იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვარში მოითხოვებული ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი უშუალოდ ბაღის ხელმძღვანელისთვის, მას ევალებოდა საჭირო მონაცემების მოპოვება შესაბამისი ჯგუფის/კლასის აღმზრდელისგან და ინფორმაციის ინტეგრირებული სახით წარდგენა.

ეთიკური შესაბამისობა

გამოკითხვა განხორციელდა კვლევის ეთიკური სტანდარტების სრული დაცვით. ყოველი მონაწილე ბაღის ადმინისტრაციას მიეწოდა ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და გამოყენების ფარგლების შესახებ, და მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე მოხდა მონაცემთა შეგროვება. მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. არ შეგროვებულა რაიმე ტიპის პერსონალური ან იდენტიფიცირებადი ინფორმაცია ბავშვების ან პერსონალის შესახებ. გამოკითხვა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კვლევის ინსტრუმენტის დახვეწის მიზნით, საველე სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდა საპილოტე ეტაპი — პილოტური კითხვარი გაიგზავნა საქართველოს 16 სკოლამდელ საჯარო დაწესებულებაში. პილოტირების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე კითხვარი გადამუშავდა, განახლდა და მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა მუნიციპალური ბაღების გაერთიანებების მხარდაჭერით.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1,030 სკოლამდელი საჯარო ბაღის ადმინისტრაციამ, რაც მთლიანი გენერალური ერთობლიობის დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. გამოკითხული ბაღებიდან ნახევარზე მეტმა (54 პროცენტმა) მიუთითა, რომ მათთან არ ირიცხებიან ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი შვილები, რაც მნიშვნელოვანია მონაცემთა ინტერპრეტაციისას.

- **კვლევის შინაარსობრივი განზომილებები**

გარდა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლებისა, გამოკითხვის გზით შეგროვდა ინფორმაცია შრომითი მიგრანტი მშობლებისა და ბავშვზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირების სოციალური და ქცევითი მახასიათებლების შესახებ. დამატებით, გამოკითხვა მიზნად ისახავდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის დაკვირვებების ანალიზს შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვების ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
- ქცევითი თავისებურებები და თანატოლებთან ურთიერთობა;
- მიგრანტი მშობლებისა და საქართველოში დარჩენილი მზრუნველების/მეურვეების ჩართულობის ხარისხი ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და განვითარების პროცესში;
- ბავშვების ინდივიდუალური და საგანმანათლებლო საჭიროებები;

- დაწესებულებებში არსებული რეაგირების მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ზემოხსენებული მექანიზმების გაუმჯობესების პროცესში იჩენს თავს.

- **მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია**

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია 2023-2024 წელს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში თბილისსა და თითოეულ რეგიონში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით. მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით (სიხშირეები და ჯვარედინი ცხრილები).

1.2. თვისებრივი კვლევა

კვლევის თვისობრივი ნაწილი მიზნად ისახავდა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების, მათი მზრუნველების, მიგრანტი მშობლებისა და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლების გამოცდილებების, საჭიროებებისა და პერსპექტივების სიღრმისეულად შესწავლას.
კვლევის ამ ეტაპზე გამოყენებულ იქნა ორი ძირითადი მეთოდი — **სიღრმისეული ინტერვიუები** და **ფოკუს ჯგუფების დისკუსიები**.

საერთო ჯამში, განხორციელდა 21 სიღრმისეული ინტერვიუ და 9 ფოკუს ჯგუფი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ცენტრალური ქალაქებიდან, ისე რეგიონების სოფლებიდან და დაბებიდან შერჩეულმა რესპონდენტებმა.

- **ფოკუს ჯგუფების დისკუსიები**

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობდნენ პროფესიული სეგმენტის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სამშობლოში დარჩენილ ბავშვებთან და აქვთ შესაძლებლობა, პროფესიული დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე იმსჯელონ ამ ბავშვების მდგომარეობასა და გამოწვევებზე.
ფოკუს ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ჯგუფები:

- **ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები** – ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურების თანამშრომლები;
- **სოციალური მუშაკები**;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალი** – აღმზრდელები, მეთოდისტები, ადმინისტრაციული ხელმძღვანელები;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებების წარმომადგენლები** – დირექტორები, ფსიქოლოგები, სპეც პედაგოგოები;
- **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები**.

დისკუსიები უზრუნველყოფდა სფეროს მრავალმხრივი და სისტემური ხედვის წარმოჩენას — გეოგრაფიული, პროფესიული და სოციალური მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

- **სიღრმისეული ინტერვიუები**

ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ჯგუფებთან:

- მიგრანტი მშობლები, რომლებიც დროებით იმყოფებიან შრომითი ემიგრაციაში;
- სამშობლოში დარჩენილი ბავშვები - 13-18 წლის არასრულწლოვნები;
- ბავშვზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირები (მზრუნველები/კანონიერი წარმომადგენლები);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორები.

ინტერვიუების მიზანი იყო ბავშვებისა და მათი უშუალო სოციალური გარემოს წარმომადგენელთა პერსპექტივის გამოკვეთა მშობლის მიგრაციასთან დაკავშირებული ყოველდღიური გამოცდილებების, საჭიროებებისა და ფსიქოსოციალური გამოწვევების გარშემო.

ბავშვებთან ინტერვიუები ჩატარდა სპეციალიზებული ბავშვთა ფსიქოლოგის მიერ, კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. არასრულწლოვანთა შერჩევა განხორციელდა მშობლის მიგრაციის ხანგრძლივობისა და გამოცდილების მიხედვით — იყო შემთხვევები, როცა ემიგრაციაში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი მშობელი, და შემთხვევებიც, როცა ორივე მშობელი უცხოეთში იყო წასული.

მიგრანტი მშობლები იყვნენ სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებნი (თბილისი, რეგიონული ქალაქები და სოფლები). მიგრაციის ხანგრძლივობა მერყეობდა 1-დან 6 წლამდე; დატოვებული შვილების რაოდენობა – 2-დან 7-მდე. რესპონდენტთა შორის იყვნენ როგორც ერთად წასული მეუღლეები, ისე მარტოხელა მშობლები. მათი შვილები სამშობლოში რჩებოდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

მზრუნველები/კანონიერი წარმომადგენლები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ტიპის ოჯახურ თუ ნათესაურ კავშირებში მყოფ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ როგორც სოფლად, ისე ქალაქში და ბავშვზე ზრუნვას ახორციელებდნენ როგორც ფორმალურად, ისე არაფორმალურ საფუძველზე.

მეთოდოლოგიური და ეთიკური მიდგომა

ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფური დისკუსიები ჩატარდა დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ყველა მონაწილემ წინასწარ მიიღო ინფორმაცია კვლევის მიზნების, გამოყენების წესებისა და კონფიდენციალურობის გარანტიების შესახებ. მონაწილეობა დაფუძნებული იყო ინფორმირებულ თანხმობაზე. არასრულწლოვანებთან ინტერვიუების შემთხვევაში, წინასწარ იყო უზრუნველყოფილი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა.

1.3. საჯარო ინფორმაცია

კვლევის ფარგლებში, გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია საქართველოს გენერალური პროკურატურიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი სამშობლოში დარჩენილი

არასრულწლოვანების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან - სამშობლოში დარჩენილი ბავშვების უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან - სამშობლოში დარჩენილი არასრულწლოვანების მიერ სწავლის მიტოვების შესახებ, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან - სახელმწიფოს ზრუნვაში მყოფი იმ ბავშვების, და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმღები ბენეფიციარების შესახებ, რომელთა ორივე ან ერთ-ერთი მშობელი იმყოფებოდა შრომით ემიგრაციაში, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების, და სააგენტოს ბავშვთა დახმარების და ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელ ხაზზე დაფიქსირებული შემთხვევების შესახებ, და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან - მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში დაფიქსირებული შემთხვევების შესახებ (ყველა შემთხვევაში, გამოთხოვილი იყო მონაცემები სეგრეგირებული მშობლის მიგრაციული გამოცდილების, სქესის და ასაკის მიხედვით).

გამოთხოვილი ინფორმაციიდან მხოლოდ ნაწილის მოპოვება გახდა შესაძლებელი. საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური არ ფლობდა გამოთხოვილ ინფორმაციას, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კი მონაცემები არ მოუწოდებია. სხვა უწყებებიდან მიღებული მონაცემები არ არის სეგრეგირებული სქესისა და ასაკის მიხედვით და, ხშირ შემთხვევაში, არ არის სეგრეგირებული არც მშობლის მიგრაციული გამოცდილების მიხედვით.

1.4. ვალიდაციის სემინარი

კვლევის შედეგების ვალიდაციისა და შემუშავებული რეკომენდაციების სრულყოფის მიზნით, გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სამსახურების, საგანმანათლებლო უწყებების, გაეროს ბავშვთა ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და დარგის ექსპერტების ჩართულობით. შეხვედრის განმავლობაში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ სიღრმისეულად განეხილათ კვლევის მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები და თავადაც ემუშავათ დამატებითი რეკომენდაციების ჩამოყალიბებაზე. სემინარის დროს მიღებული უკუკავშირი ინტეგრირებულია კვლევის ანგარიშში.

1.5. კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე კვლევას რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა აქვს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია შედეგების ინტერპრეტირების პროცესში.

კვლევის ძირითად შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ წარმომადგენლობითობის საკითხი და, შესაბამისად, განზოგადების შეზღუდული შესაძლებლობა, რაც კვლევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების შეზღუდვამ განაპირობა. თავდაპირველად, კვლევის ფარგლებში მოაზრებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო დაწესებულებების გამოკითხვა, რაც საშუალებას მოგვცემდა კვლევა მეტად მიახლოებოდა სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისთვის წარმომადგენლობითობას, ვინაიდან არასრულწლოვანების დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, ბაღთან შედარებით, არასრულწლოვანები უფრო მეტ დროს (12 წელს) ატარებენ სკოლაში, და ამ დროს მშობლის (განსაკუთრებით დედის) მიგრაციის შემთხვევებიც შედარებით მაღალია. შესაბამისად, სკოლებში გამოკითხვის ჩატარება საშუალებას მოგვცემდა უფრო ზუსტად განგვესაზღვრა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლები, მათ წინაშე არსებული გამოწვევები და მათი საჭიროებები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს განათლების სამინისტრომ სკოლებში გამოკითხვის ჩატარების თანხმობა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით, არ გასცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამინისტროს ეს პოზიცია უკავშირდება 2024 წელს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონის ხელმეორე ინიცირებას და მიღებას და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეწყვეტას. შესაბამისად, აღნიშნული გამოწვევის შედეგად, კვლევაში ნაკლებად აისახა ის გამოწვევები, რომლებიც სასკოლო ასაკის ბავშვებს შეიძლება დაუდგეთ (მავნე ჩვევები, ადრეული ქორწინება, ა.შ.). შესაბამისად, აღნიშნული გამოწვევის შედეგად, კვლევაში ნაკლებად აისახა ის გამოწვევები, რომლებიც სასკოლო ასაკის ბავშვებს შეიძლება დაუდგეთ (მავნე ჩვევები, ადრეული ქორწინება, ა.შ.). ეს შეზღუდვაც, გარკვეულწილად, დაბალანსებულია როგორც სკოლების წარმომადგენლებთან, ისე სამშობლოში დარჩენილ ბავშვებსა და მათ ოჯახების წევრებთან თვისებრივი ინტერვიუების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების დონეზე გამოკითხვაში მონაწილე ბაღების რაოდენობა მაღალი იყო (60% გამოპასუხება) და მონაცემები შეწონილ იქნა რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით, გარკვეული მეთოდოლოგიური შეზღუდვები მაინც არსებობს:

- **დაუკონკრეტებელი პასუხები:** ზოგიერთ ბაღს არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც მშობლის მიგრაციის პირობებში ცხოვრობენ. ხშირად ადმინისტრაცია არ ფლობდა სისტემურად შეკრებილ მონაცემებს, ხოლო მონაცემების აღრიცხვა სრულად იყო დამოკიდებული ინდივიდუალურ აღმზრდელთა ინიციატივასა და დაკვირვებაზე.
- **შეგნებული უარი ან არასრულად შევსებული კითხვარები:** ბაღების ნაწილმა განაცხადა, რომ მათთან არ ირიცხებიან სამშობლოში დარჩენილი ბავშვები, თუმცა ხარისხობრივი მონაცემების საფუძველზე დასაშვებია, რომ რეალურად ეს შესაძლოა ინფორმაციის არქონის შედეგი ყოფილიყო.

- **სუბიექტური დაკვირვება: ემოციური,** ქცევითი და ფსიქოსოციალური ნიშნების შეფასება დიდწილად ეფუძნებოდა აღმზრდელების სუბიექტურ აღქმას და დაკვირვებას, რაც ქმნის ინტერპრეტაციის სივრცეს და შესაძლოა არ ასახავდეს სრულად ბავშვების ინდივიდუალურ მდგომარეობას.

2. კვლევის მიგნებები

2.1. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლები და მშობლების მიგრაციული პროფილი



საქართველოში რეგისტრირებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების 4 პროცენტის ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება შრომით ემიგრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი წარმომადგენლობითია სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის, მონაცემების ინტერპრეტირებისას გასათვალისწინებელია სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. 2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებით, სკოლამდელი





ასაკის ბავშვების 28% არ დადიოდა ბაღში, რისი მიზეზიც იყო როგორც ოჯახის არჩევანი, ისე სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორი.[10] ამ მიმართულებით მონაცემების ნაკლებობა წლების მიხედვით შედარების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა სავარაუდოა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების სრული უმრავლესობა არც 2023-2024 წლებში

[10] საქსტატი და გაეროს ბავშვთა ფონდი.

იქნებოდა წარმოდგენილი საჯარო ბაღებში.

სამშობლოში დარჩენილი ბაღის ასაკის ბავშვების 42% გოგოა, 45% ბიჭი, 13 პროცენტის შესახებ კი ინფორმაცია ვერ შეგროვდა. შრომით ემიგრაციაშია ორივე მშობელი ბავშვების 8 პროცენტის შემთხვევაში, მხოლოდ დედაა ემიგრაციაში ბავშვების 17 პროცენტის შემთხვევაში, ხოლო მხოლოდ მამაა ემიგრაციაში - 71 პროცენტის შემთხვევაში. აქედან, ბავშვების ერთი პროცენტის შემთხვევაში, ემიგრაციაშია ერთადერთი მშობელი, ბავშვების 4 პროცენტის შემთხვევაში კი მშობლის მიგრაციული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ვერ შეგროვდა (დიაგრამა 1).

რეგიონების მიხედვით, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ყველაზე დიდი წილი 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოდის სამცხე-ჯავახეთზე (17%), შემდეგ იმერეთზე (6%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (6%) და კახეთზე (5%). თბილისსა და სხვა რეგიონებში კი მიგრანტთა შვილების წილი დაახლოებით თანაბარია (ორიდან სამ პროცენტამდე) (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წილი 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებებში რეგისტრირებულ ბავშვებში, რეგიონების მიხედვით (%)

როგორც რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, მამის მიგრაცია გაცილებით უფრო ხშირია დედის მიგრაციასთან შედარებით. 2011-2012 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევა ასევე მიუთითებს მამის მიგრაციის მაღალ მაჩვენებელზე დედის მიგრაციასთან შედარებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის ტენდენციები მას შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა.[11] სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, მამის მიგრაციის წილი ყველაზე მაღალია (**97%),** ხოლო დედის - ყველაზე დაბალი **(2%) სამცხე-ჯავახეთში.** მამის მიგრაციის წილი ყველაზე დაბალია (**42%),** დედის კი - ყველაზე მაღალი (42%) **გურიაში.** ხოლო ორივე მშობლის მიგრაციის შემთხვევა ყველაზე ხშირია **სამეგრელო-ზემო სვანეთსა (16%)** და **შიდა ქართლში (15%)** (დიაგრამა 3). ვინაიდან სკოლებიდან სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება წინამდებარე

[11] Cebotari *et al.* (2018).

კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა, რთული სათქმელია, რამდენად გვექნებოდა მსგავსი რეგიონული განსხვავებები, კვლევა რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წარმომადგენლობითი ყოფილიყო, არსებული განსხვავებების შესაძლო მიზეზების ძიება კი სიღრმისეულ სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზს საჭიროებს და სცდება წინამდებარე კვლევის მიზნებს, თუმცა, შესაძლოა მნიშვნელოვანი მიგნება იყოს მუნიციპალურ დონეზე სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისთვის.

დიაგრამა 3: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მშობლების მიგრაციული პროფილი რეგიონების მიხედვით (%)



საინტერესოა, რომ ინტერვიუებისა და დაკვირვებების შედეგად მოპოვებული თვისებრივი მონაცემები განსხვავებულ სურათს გვთავაზობს, ვიდრე რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, **საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ შრომით ემიგრაციაში, უმეტესად, დედები იმყოფებიან.**

რაოდენობრივ მონაცემებსა და თვისებრივ დაკვირვებებს შორის ამ ცდომილებას შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- პირველ რიგში, ვინაიდან დედები მცირეწლოვან შვილებს შედარებით უფრო იშვიათად ტოვებენ და მათი ემიგრაცია უფრო მაღალია, როდესაც ბავშვები სასკოლო ასაკს აღწევენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლამდელი ასაკის სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, დედის ემიგრაციის შემთხვევები ბევრად მეტი იქნება.
- მეორე, შესაძლოა სკოლების წარმომადგენლები ნაკლებად არიან საქმის კურსში მამის ემიგრაციის შესახებ, და შესაბამისად, დედის ემიგრაციის შემთხვევები მათთვის უფრო თვალსაჩინოა. სამწუხაროდ, სკოლებიდან ინფორმაციის მოპოვების გამოწვევების გამო, აღნიშნული ვარაუდების დადასტურება წინამდებარე კვლევაში არ არის შესაძლებელი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების დაკვირვებით, ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში დაწესებულებებში იმატა იმ ბავშვების რიცხვმა, რომელთა ერთი ან ორივე მშობელიც შრომით ემიგრაციაშია წასული. ეს მონაცემი ეხმიანება ქვეყნიდან ემიგრაციის სტატისტიკურ მაჩვენებლებსაც, რომლის მიხედვითაც, ბოლო წლების განმავლობაში, ემიგრაცია საგრძნობლად მატულობდა, 2023 წელს კი, 2022 წელთან შედარებით, თითქმის 100%-იანი ზრდით, კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია.[12] თუ გავითვალისწინებთ, რომ 2011-2012 წლებში საქართველოში მცხოვრები ბავშვების 40% ემიგრანტის ოჯახში ცხოვრობდა,[13] ემიგრაციის გაზრდილი მაჩვენებლის ფონზე, ამ მონაცემის შემცირება საეჭვოა.

> ემიგრაციის ფენომენი ქვეყანაში იმდენად მასშტაბურია, რომ ის თვალშისაცემია თავად კვლევის მონაწილე არასრულწლოვანებისთვისაც - *„საქართველოში ისეთი ვითარებაა, ყოველ მეორე ადამიანს, ყოველი მეორე ოჯახიდან, ვიღაც მაინც ჰყავს ემიგრანტი... ზოგს ზედმეტად უჭირს და უბრალოდ არ აქვთ საშუალება ამ ქვეყანაში გაჩერდნენ“ (სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის).*

2.2. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა

2.2.1. ზოგადი მიმოხილვა

სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ საერთაშორისო კვლევებში იკვეთება მშობლის მიგრაციის გავლენა ბავშვების ფსიქიკურ განვითარებასა და მათ სოციალიზაციის პროცესზე. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა მზარდი მიგრაციის საზოგადოებებმა, როგორადაც ზემოთ მოხსენიებული სტატისტიკის გათვალისწინებით, შეიძლება საქართველოც ჩაითვალოს, დროთა განმავლობაში მწვავედ იგრძნონ მიგრაციის მძიმე შედეგები,[14] რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მიგრაციის ეფექტიანი მართვის და სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე რეაგირების მნიშვნელობაზე.

[12] საქსტატი *(ა).*
[13] Cebotari *et al.* (2018).
[14] Fellmeth *et al.* (2018).

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, „დეპრესიის რისკი **52 პროცენტით**, თვითმკვლელობაზე თვითმკვლელობაზე ფიქრის რისკი **70 პროცენტით,** შფოთვითი აშლილობის რისკი კი **85 პროცენტით** იმატებს“. შედარებით უფრო ნაკლებია ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების რისკი (**20 პროცენტამდე**).[15] საერთაშორისო ლიტერატურაში ჩნდება ნეოლოგიზმები, რომლებიც, მშობლის არყოფნით გამოწვეული მიტოვებისა და დაუცველობის შეგრძნების, და ემოციური სირთულეების სიმძაფრის მასშტაბების გათვალისწინებით, სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს მეტაფორულად ობლებად მოიხსენიებს. კვლევები, რომლებიც ამ საკითხებს საქართველოს კონტექსტში სწავლობს, აჩვენებს რომ ბოლო წლებში, მიგრაციის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად, იზრდება ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მაჩვენებელი 14 წლამდე ბავშვებს შორის,[16] თუმცა, ჯანდაცვის სამინისტრო სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე არ არის ფოკუსირებული.[17]

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების **ფსიქო-ემოციური მდგომარეობის** შეფასება. კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, მიგრანტმა მშობლებმა, მეურვეებმა/აღმზრდელებმა, და თავად ბავშვებმა შეაფასეს მშობლის მიგრაციის პირობებში ისეთი ფსიქო-ემოციური გამოვლინებები, როგორებიცაა მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი, აგრესიის განცდა და აგრესიული ქცევა, ქცევითი აშლილობები, და სხვა.

> თუკი რაოდენობრივ მონაცემებში არ ჩანს **მნიშვნელოვანი განსხვავებები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების და მათი თანატოლების ფსიქო ემოციური მდგომარეობა,** თანატოლებთან შედარებით, საგრძნობლად უფრო მძიმეა და ხშირად, ფსიქოემოციურ მდგომარეობას შორის, თვისებრივი კვლევის შედეგად ეს განსხვავებები უფრო იკვეთება. ოჯახის წევრების (აღმზრდელები, მიგრანტი მშობლები) და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების დაკვირვებით, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო ემოციური სირთლეები რთულ ქცევაშიც გადაიზრდება.

2.2.2. მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი საგრძნობლად ან მცირედით უფრო მაღალია (**38%),** ან თანატოლების მსგავსია (**38%).** შედარებით

[15] *იქვე.*
[16] საქსტატი *(ბ).*
[17] Antia *et al.* (2022).

იშვიათია დაკვირვება, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვებს შორის აღნიშნული განცდები თანატოლებთან შედარებით უფრო იშვიათად ვლინდება (**6%**). შემთხვევების **18** პროცენტში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა (დიაგრამა 4).



დიაგრამა 4: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი... (%)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელების დაკვირვებით, სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდას, სტრესსა და შფოთს არაერთი გამოხატულება აქვს. აღმზრდელების დაკვირვებით, ბავშვები ყველაზე ხშირად საუბრობენ **მშობლების მონატრებაზე (60%), ხშირად არიან გამოხატულად მოწყენილნი და/ან ტირიან (34%), ხშირად არიან ჩაკეტილები და ნაკლებად ურთიერთობენ თანატოლებთან (15%), არიან ნერვიულები და ხშირად შფოთავენ (11%), არიან ჰიპერაქტიურები და უჭირთ მოდუნება (10%).** უფრო იშვიათ შემთხვევებში კი სახელდება ისეთი გამოვლინებები, როგორებიცაა ძილის დარღვევა, კვებითი აშლილობა, თავის, მუცლის თუ სხვა ტკივილი, მოტივაციის ნაკლებობა ჩაერთონ დაწესებულებაში მიმდინარე სოციალურ და/ან გასართობ აქტივობებში (დიაგრამა 5).



დიაგრამა 5: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა და სტრესი? (იმ 38%-დან, რომელიც ხედავს მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდას, სტრესსა და შფოთს ბავშვებს შორის. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %)

2.2.3. აგრესიის გამოვლინება და ქცევითი სირთულეები

შედარებით იშვიათად სახელდება აგრესიის შემთხვევები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის აგრესიის განცდა, საგრძნობლად ან მცირედით უფრო მაღალია შემთხვევების მხოლოდ **18 პროცენტში,** ხოლო შემთხვევების უმრავლესობაში **(54%)** თანატოლების მსგავსია. შედარებით იშვიათია დაკვირვება, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვებს შორის აღნიშნული განცდები თანატოლებთან შედარებით უფრო იშვიათად ვლინდება **(7%).** შემთხვევების მეხუთედში **(21%),** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს სამშობლოში დარჩენილი ბავშვებს შორის აგრესიის განცდის განსაზღვრა (დიაგრამა 6).



დიაგრამა 6: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, აგრესიის განცდა... (%)

ყველაზე ხშირად აგრესია ვლინდება მცირე მაპროვოცირებელზეც კი ადვილად გაღიზიანებადობით (72%). შედარებით ხშირია ასევე თანატოლებისთვის ფიზიკური (18%) ან სიტყვიერი (14%) შეურაცხყოფის მიყენება თუ ბულინგი. ვლინდება ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები აღმზრდელების მიმართაც (8%). უფრო იშვიათად, ბავშვები ზიანს აყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას (5%), ან რაიმე სხვა ფორმით გამოხატავენ აგრესიას (დიაგრამა 7).



დიაგრამა 7: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების აგრესია? (იმ 18%-დან, რომელიც ხედავს აგრესიას ბავშვებს შორის. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %)

თანატოლებთან შედარებით, საგრძნობლად უფრო დაბალია აგრესია და ბულინგი თავად სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ. შემთხვევების უმრავლესობაში **(54%)** აგრესია და ბულინგი სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ თანატოლების მსგავსია, **8** პროცენტში უფრო დაბალი, და მხოლოდ **4** პროცენტში უფრო მაღალი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევების მესამედზე მეტში (**35%),** აღმზრდელებს უჭირთ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ თანატოლების მხრიდან აგრესიისა და ბულინგის ხარისხის განსაზღვრა (დიაგრამა 8).



დიაგრამა 8: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლების მხრიდან, სხვა თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ აგრესია/ბულინგი... (%)

„ერთ-ერთი ბავშვი, ბიჭი, მოჰყავდა ბებიას და მამას. მერე რომ გავიკითხე, თურმედედა წასულა ემიგრაციაში სამუშაოდ, და არ უნდოდა ბაღი, ძალით მოჰყავდათ, მერე ჯგუფში შესვლაზეც უკმაყოფილო იყო, აღარ ერთვებოდა აქტივობებში, ხან სათამაშოს გაუქნევდა ბავშვებს, მოკლედ ქცევითი აშლილობა დაეწყო, ამ დროს, წინა წლებში, ძალიან კარგი ბავშვი იყო, ყველანაირ აქტივობებში ერთვებოდა... მოკლედ არანაირი გამოვლინება არ ჰქონდა... ჩავრთეთ ფსიქოლოგი ბავშვთან მუშაობაში და ფსიქოლოგმა დაიბარა მამა და შეთანხმდნენ და დედა სამ თვეში დააბრუნეს სახლში და შეიცვალა ისევ ბავშვის მდგომარეობა... ასე რომ, ქცევითი აშლილობა ხშირია ამ დროს, არა მარტო სევდა. უმრავლესობა სევდით გამოხატავს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ქცევით გამოხატავენ და ამ დროს აუცილებელია ფსიქოლოგის დახმარება“ (საჯარო საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ქალი).

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მდგომარეობა დიდწილად აისახება ჩაკეტილობაში, არის მეორე უკიდურესობაც, ჰიპერაქტიურობა და ქცევითი სირთულეები, რაც ასევე ტრავმაზე პასუხი და პროტესტის ფორმაა. ემოციური მხარდაჭერის დეფიციტის და უარყოფის შიშის ფონზე, ბავშვებს აქვთ ყურადღების მიპყრობის სურვილი, რაც ხშირად ვლინდება ექსტრავერტული ქცევით და მატერიალურ ნივთებზე აქცენტით, რათა თანატოლების მხრიდან მოწონება და აღიარება მიიღონ.

რესპონდენტების დაკვირვებით, მშობლების ემიგრაციის შემდეგ, ბავშვები, განსაკუთრებით შედარებით მცირე ასაკში, **მარტივად ღიზიანდებიან და მარტივ გამღიზიანებლებზეც კი შეიძლება ტანტრუმი დაემართოთ**. აქვთ აგრესია, რომელიც

გამოიხატება იმპულსურ ქცევებში, თანატოლებისა და აღმზრდელების მიმართ და ყვირილსა და სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფაში, გარემოს დაზიანებაში - ურტყამენ ბავშვებს, ამტვრევენ ნივთებს, უზიანებენ სხვა ბავშვებს სათამაშოებს ან ნამუშევრებს, და ა.შ.

დაბრუნებული ემიგრანტი მშობელი, ქალი, ერთი შვილის დედა	*„მე დამირეკა სკოლიდან მისმა დამრიგებელმა და მითხრა, რომ რვა მარტს გაკეთებული რაღაც ნახატები გააკეთებინა ხელოვნების მასწავლებელმა და ჩემდა სამწუხაროდ ჩემმა შვილმა რამდენიმე ბავშვის ნახატი დაუზიანა, იმიტომ, რომ იმას დედისთვის მიჰქონდა სახლში. ამას კი ვერ აცნობიერებდა მაგ დროს, მაგრამ ეს მისი პროტესტი იყო“*
ბაღების გაერთიანების დირექტორი, ქალი	*„ვინც გვყავს, და რამდენიმეა ასეთი, ყველა ბავშვს სირთულე გამოეხატება აშკარად... ერთ ბავშვს აქვს აუტიზმის სპექტრი, და მამის წასვლის შემდეგ საგრძნობლად დამძიმდა მისი მდგომარეობა... თუმცა მერე რომ გავარკვიე, აღმოჩნდა, რომ ბავშვს გამოხატულებები დაეწყო დედის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ. ბავშვმა დაიწყო ჩაკეტვა, სათამაშოების გადაყრა, ბავშვების დანარცხება იატაკზე და ა.შ... ეს ბავშვები საკმაოდ ტრავმირებულები არიან და ამით გამოირჩევიან სხვა ბავშვებისგან“*

განსაკუთრებით მწვავდება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, როდესაც დაწესებულებაში ტარდება ღონისძიება მშობლების ჩართულობით, მაგალითად მშობელთა კრება, ზეიმი, თუ სხვა. ასეთი დროს ბავშვები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან მშობლების არყოფნას. შედარებით მცირე ასაკის ბავშვებისთვის მსგავსი განცდაა დაწესებულებაში მისვლა და წამოსვლაც, როდესაც თანატოლები მშობლების თანხლებით მიდიან დაწესებულებაში და მათვე თანხლებით ტოვებენ მას, თავად კი მშობლების გვერდით არ ჰყავთ. დაწესებულებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ცდილობენ აარიდონ ბავშვებს ზედმეტი უარყოფითი ემოცია და მიიღონ გადაწყვეტილებები თითოეული ბავშვის სიტუაციიდან გამომდინარე. მაგალითად, ხშირად ერიდებიან ასეთი ღონისძიებების დაგეგმვას, რომლებიც მშობლების მონაწილეობას მოითხოვს, აღმზრდელებს სთხოვენ უფრო ადრე გაიყვანონ ბავშვი, სანამ მშობლები სხვა ბავშვებს მოაკითხავენ და სხვა.

„ერთ-ერთ ღონისძიებაზე მშობლებთან ერთად იყო ცეკვა, და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს მამიდა და ისე ზრდიან, რომ არ ვიცი, დედის სითბოს რა შეუცვლის, მაგრამ ძალიან სითბოში და სიყვარულში ზრდიან, ტირილი დაიწყო. არ დადგა და არ იცეკვა მამიდასთან ერთად, ბევრი თხოვნის მიუხედავად არ იცეკვა მასთან ერთად“ (საჯარო საბავშვო ბაღის დირექტორი, ქალი).

„მე მქონდა შემთხვევა, მამა ისე წავიდა, ჩვენ არ ვიცოდით... გოგო მყავდა ძალიან მხიარული, აქტიური, ციბრუტივით ბავშვს რომ ვეძახით, ყველანაირ აქტივობაში რომ ერთვებოდა და იწყენდა მაშინ, როდესაც მშობლები აკითხავდნენ სხვა ბავშვებს, და განსაკუთრებით მამებს რომ დაინახავდა. არასდროს არ უთქვამს და არც დედამის არ უთქვამს, რომ მამა წასულია. მე თვითონ გავარკვიე, დავინტერესდი, და აღმოჩნდა, რომ

ერთი თვის წასული იყო უკვე მამა გერმანიაში“ (საჯარო საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ქალი).

2.2.4. მშობელთან განშორების პირველადი ფსიქო-ემოციური გავლენა

ბუნებრივია, მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ სტრესს უკავშირდება მშობლის გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის შესახებ.

კვლევით დასტურდება, რომ ბავშვები გადაწყვეტილების პროცესში იშვიათად მონაწილეობენ და, ძირითადად, ისინი უკვე მიღებული გადაწყვეტილების წინაშე დგებიან ან მშობლის გადაწყვეტილების შესახებ გამგზავრებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე იგებენ. არის შემთხვევებიც, როდესაც ბავშვებმა მშობლის ემიგრაციის შესახებ მხოლოდ მათი გამგზავრების შემდეგ გაიგეს. შესაბამისად, ხანდახან მშობლები არც კი ემშვიდობებიან ბავშვებს, განსაკუთრებით შედარებით მცირე ასაკში, მათთვის განშორების სიმძიმის ასარიდებლად, რაც, შესაძლოა, შოკისმომგვრელი იყოს ბავშვებისთვის და უფრო რთულად გადასატანი, ვიდრე დამშვიდობების პროცესი.

„პატარა რომ ხარ, ვერ გაგებინებს ვერავინ, რატომ არის ეს ყველაფერი აუცილებელი. ფორმულირებას ისე ვერ უკეთებს ბევრი ადამიანი და ბევრი მშობელი იმ ასაკში და თუ გაუკეთებს, მაინც შენებურად იღებ ამ ყველაფერს. ბავშვს როგორც უნდა ისე ატრიალებს ყველა საკითხს“ (სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის).

სამშობლოში დარჩენილ ბავშვებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ მაშინაც კი, როდესაც მშობლები ცდილობენ აუხსნან შვილებს წასვლის მიზეზები, ბავშვები, განსაკუთრებით მცირე ასაკში, ვერ იაზრებენ მშობლის ამ გადაწყვეტილებას, ხშირად არ ესმით ის მატერიალური არგუმენტები, რომლებსაც მშობლები იშველიებენ. შესაბამისად, ჩნდება ***მიტოვების „აუხსნელი“ გრძნობა და შიში - ისინი არ არიან საკმარისად მნიშვნელოვანი მშობლებისთვის, ისინი საკმარისად არ უყვართ***[18] - ემიგრანტების წინამდებარე კვლევაში მონაწილე შვილებიც აღნიშნავენ, რომ ბავშვების დროული ინფორმირება და ინფორმაციის სწორად მიწოდება, მათი ასაკის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია.

სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის	*„ეს იყო ჩემთვის ბომბის აფეთქებასავით. სადღაც ერთი კვირა, მგონი არავის ვესაუბრებოდი მაგ თემაზე და ძალიან აგრესიულად ვიყავი მაგ ყველაფრის მიმართ. ისეთი თემაა, რომ მიჭირს მაგ თემაზე საუბარი... დედა არის ის ერთადერთი ადამიანი, ვისზეც ხარ მიჯაჭვული და მის გარეშე რომ ყველაფერი დაინგრევა. ასეთი ადამიანი რომ შენგან მოშორებით არის და სხვაგან მიდის, გიჩნდება განცდა, რომ ყველაფერმა დაასრულა არსებობა... კი ხარ შეგუებული და თითქოს ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ყოველ წამს, როცა მაგ მომენტს იხსენებ, თითქოს უკან ბრუნდები და ის ემოცია ორმაგად უფრო მძაფრად შემოდის შენში“*

ვინაიდან მშობლების შრომით ემიგრაციაში გამგზავრების ძირითადი მიზეზი ქვეყანაში არსებული მძიმე სოციო-ეკონიმუკური ფონია, ისინი ცდილობენ შვილებს აუხსნან, რომ გამგზავრება *აუცილებელია მათივე მატერიალური კეთილდღეობისთვის, მათთვის*

[18] Vanore (2015).

უკეთესი საცხოვრებელი პირობების, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისთვის. ამაზე ბავშვების პასუხი ხშირად არის საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებზე უარის თქმის მზაობა, ოღონდ მშობლებმა არ დატოვონ. ბავშვები, განსაკუთრებით შედარებით მცირე ასაკში, ხშირად ტირიან და ცდილობენ მშობლებს აზრი შეაცვლევინონ, იშველიებენ „ბავშვურ“ არგუმენტებს და მშობლებს ეუბნებიან, რომ თავად იმუშავებენ, რომ არ უნდათ სათამაშოები, არაფერი უნდათ, არაფერი სჭირდებათ - *"არ მინდა სკოლაში საჭმლის ფული, არ შევჭამ"*. გამგზავრების შემდგომაც, ბავშვები ხშირად ცდილობენ დაარწმუნონ მშობლები დაბრუნდნენ, მათ შორის არგუმენტებით, რომ თანატოლების მშობლები მათთან არიან და არაფერი აკლიათ, რომ სხვა მშობლები ყველაფერს ახერხებენ.

კვლევაში მონაწილე სამშობლოში დარჩენილი ბავშვები და ემიგრანტი დედები, რომლებიც გარკვეული პერიოდით ჩამოდიან საქართველოში აღნიშნავენ, რომ შვილებთან განშორების ემოციური სირთულეები ყოველი გამგზავრების დროს მეორდება და ამ განცდასთან შეგუება თითქმის შეუძლებელია. მშობლებსა და შვილებს შორის ემოციური კონტაქტის დროებითი აღდგენა, გაუცხოების გადალახვა და შემდეგ ისევ განშორება ბავშვებში მუდმივ მოლოდინსა და იმედგაცრუებას იწვევს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ ფსიქოემოციურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. მშობლების შეფასებითაც, მშობლის ემიგრაცია ბავშვისთვის არის სტრესი, რომელიც ქვეცნობიერში ილექება და მთელი ცხოვრება გაჰყვება ბავშვს. ერთ-ერთი მშობელი აცხადებს, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში, როდესაც ბავშვი რვა წლის იყო. მას მერე ათ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ „მიგრაციის შედეგებს დღემდე ებრძვიან“:

> *„ჩემთვის ეს არის სტრესი, რომელიც არ დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი შვილიშვილი იყო ოჯახში, და ძალიან განებივრებული და სასათბურე პირობები ჰქონდა შექმნილი, მისთვის იყო დანაკლისი, რომელიც ვერაფერმა შეავსო... ჩემი ძმა რომ დედაჩემს დედას ეძახდა, ამასაც კი ებრძოდა, თვითონ ტერმინსაც კი ებრძოდა და თვითონაც ვერ ხსნიდა ამას რვა წლის ასაკში... ახლა ვხვდები, რომ პროტესტი ჰქონდა შინაგანი, რომელსაც სიტყვებით ვერ გამოხატავდა და არაგაცნობიერებულ ქმედებაში გამოიხატებოდა“ (დაბრუნებული ემიგრანტი მშობელი, ქალი, ერთი შვილის დედა).*

მშობლების გადაწყვეტილების რეტროსპექტულად შეფასებისას, ემიგრანტების შვილები აღნიშნავენ, რომ პატარა ასაკში, მშობლებთან განშორებით გამოწვეული სევდის მიუხედავად, რთულია გაიაზრო, თუ რამდენად მტკივნეული შეიძლება იყოს ეს გამოცდილება და წლების შემდეგ ბრაზი მშობლების ხანგრძლივი ემიგრაციის გამო უფრო და უფრო იმატებს.

მეორე მხრივ, ზოგიერთი ბავშვის გამოცდილებით, მშობლის ემიგრაციის პირველი პერიოდი ბრაზით, სევდით და სასოწარკვეთით არის სავსე, შემდეგ კი ამ ემოციებს ანაცვლებს მშობლის მსხვერპლის გააზრება და მათ გმირულ საქციელზე ფიქრი. ბავშვთა განვითარების თეორიები აჩვენებს, რომ შორს მყოფი მშობლის იდეალიზება ხშირად ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავების მექანიზმია და ეხმარება ბავშვებს „განშორების რაციონალიზებაში“- მათთვის რთულად გასააზრებელი მოვლენის ახსნაში, მშობელთან განშორების ტკივილთან, მიტოვებულობის განცდასთან გამკლავებაში, მშობელთან ემოციური კავშირის შენარჩუნებაში, თუმცა, ამავდროულად, ბავშვისთვის შეუფერებელ

ემოციურ პასუხისმგებლობაზე, საკუთარი საჭიროებების და უარყოფითი ემოციების დათრგუნვაზე მიუთითებდეს.[19] ვინაიდან მშობლების არგუმენტები ემიგრაციასთან დაკავშირებით, ძირითადად, შვილების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ეხება, **ბავშვები საკუთარ თავს ადანაშაულებენ მშობლის მიგრაციის გამო.** შედეგად, დანაშაულის გრძნობასთან ერთად, ბავშვებს გამოუმუშავდებათ პასუხისმგებლობის ძლიერი განცდა - ხშირად ისინი ცდილობენ შევიდნენ მშობლის მდგომარეობაში, გაიაზრონ მათი გაღებული მსხვერპლი. ამ პროცესში, მათი ქცევა ადრეული ასაკიდანვე ხდება პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული, იმ ვითარების „გამოსწორებაზე" ორიენტირებული, რომელიც, რეალურად, მათ კონტროლს მიღმაა. ისინი ცდილობენ ემიგრაციაში მყოფ მშობლებს ნაკლებად დაანახონ საკუთარი განცდები, რომ შეუმსუბუქონ მათ ოჯახისგან შორს ყოფნა. ამხელა ემოციური პასუხისმგებლობა და საკუთარი განცდების დათრგუნვა არაბუნებრივია მათი ასაკისთვის, და ფსიქოლოგიური წნეხის კიდევ ერთ ფორმად იქცევა.

„...მერე რომ მივხვდი, რომ დედაჩემისთვისაც რთული იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება მეც გვერდით დავუდექი... მე მყავს ემიგრაციაში ბებია და ვიცი როგორი ძნელია სამშობლოსგან და ოჯახისგან შორს ყოფნა. ვცდილობდი, რომ ეს სტრესი არ მიმეყენებინა დედისთვის, არ მინდოდა დამემძიმებინა. პირიქით - ვცდილობდი რომ გამემარტივებინა... ვფიქრობ, რომ ყველა ემიგრანტი ადამიანი არის, პირველ რიგში, გმირი. როგორც ჩვენ, შვილები და ახალი თაობა ვიტანთ ამ მონატრებას, ისინი ორმაგად იტანენ ამ მონატრებას. ყველა ადამიანი და ყველა დედა, მითუმეტეს, ვინც დედაჩემზე დიდი ხანია რაც ემიგრაციაშია, ვერ ჩამოდის და შვილები, შვილიშვილები მათ გარეშე იზრდებიან და ამ ყველაფერს ონლაინ უყურებენ. ძალიან რთულია. ეს ბევრს არ შეუძლია და მე ვფიქრობ, რომ დედაჩემი გმირი ადამიანია" **(სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის).**

„უდედობით გამოწვეული სევდა", ძლიერი მონატრება და მუდმივად მოლოდინში ყოფნა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ემიგრაციის საწყის ეტაპზე და მცირე ასაკის ბავშვებში. ერთ-ერთი მასწავლებელი იხსენებს: მშობლის მიგრაციას, ბუნებრივია, თან ახლავს მონატრების მძაფრი შეგრძნება. სამშობლოში დარჩენილი ბავშვები აღნიშნავენ, რომ მატერიალური კეთილდღეობის გამო უწევთ მუდმივად „მონატრებაში ცხოვრება". მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური საჭიროებების გააზრება ასაკის მატებას ახლავს თავს, მსგავსი შეფასებები აჩვენებს, რომ ბავშვებისთვის მატერიალური კეთილდღეობა ვერ ანაცვლებს მშობელთან სიახლოვის, ემოციური ზრუნვის საჭიროებას. წინამდებარე კვლევა აჩვენებს,

> *„მე-7 კლასში ერთ-ერთი მოსწავლე, თვითმფრინავის ყოველი გაფრენისას - აეროპორტთან ახლოსაა სკოლა, წამოხტებოდა, თითქოს, დედამისი უნდა დაბრუნებულიყო იმ თვითმფრინავით"* **(საჯარო სკოლის მასწავლებელი, ქალი).**

[19] Barth (2009); Bretherton (1985); Simha-Alpern (2018).

რომ ემოციური ზრუნვის დეფიციტი თვალსაჩინოა მაშინაც, როდესაც ბავშვი, ერთ-ერთი მშობლის, განსაკუთრებით დედის მიგრაციის შემდეგ, მეორე მშობელთან ცხოვრობს.

“[მამა] არანაირად არ ინტერესდება ჩემი ცხოვრებით. კითხვა-პასუხის რეჟიმის კომუნიკაცია გვაქვს, კითხვები უფრო ჩემს ძმას ეხება, საჭმლის მომზადებას ან სახლის საქმეს. ჩემს ემოციურ ცუდად ყოფნას ვერ იგებს. მაგ დროს ჩაკეტილი ვარ. ახლაც მძიმე პერიოდი მაქვს, მაგრამ ვერავინ ვერ იგებს... მამას არ ესმის, რომ მე ვარ ადამიანი და მაქვს ჩემი მოთხოვნები. ჰგონია, რომ მარიონეტი ვარ... სახლის საქმეზე მეტად ნეგატიური გარემო არის ყველაფრის ჩამხშობი. ინტერესი აღარ მაქვს რომ რამე გავაკეთო, აღარც მოტივაცია მაქვს” **(სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის).**

სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ხშირად, ვლინდება მშობელთან კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციაზე ხელმისაწვდომობა ამ კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, ვირტუალური ურთიერთობა ტრანსნაციონალური ოჯახების „საარსებო წყაროა“. კვლევაში მონაწილე ბავშვები მშობელთან მჭიდრო კომუნიკაციას უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ, განსაკუთრებით, ემიგრაციის საწყის ეტაპზე, მშობელთან ყოველდღიური კომუნიკაცია გარკვეულ თერაპიულ ფუნქციას ასრულებდა, ეხმარებოდა მათ მიტოვებულობის შეგრძნების გადალახვაში - უქმნიდა მათ განცდას, რომ ფიზიკური სიშორის მიუხედავად, მშობლები ისევ გვერდით იყვნენ და ყურადღებას უთმობდნენ:

„ადრე ყოველ წამს მინდოდა რომ მელაპარაკა. უფრო მეტად მინდოდა მეგრძნო, რომ ჩემთვის ეცალა და ჩემთან იყო“	**სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის**

ტექნოლოგიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ტრანსნაციონალურ კომუნიკაციას და მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ოჯახთან განშორების სიმძიმე. მიუხედავად ამისა, ბავშვებისთვის, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ხშირად იმდენად მძიმეა მშობლის გამგზავრებით გამოწვეული სტრესი თუ ბრაზი, რომ ზოგჯერ, პროტესტის ნიშნად, საერთოდ უარს აცხადებენ მშობელთან დისტანციურ კომუნიკაციაზე. ერთ-ერთი მშობელი იხსენებს, რომ მისი შვილი, ერთი წლის განმავლობაში, არა თუ არ ელაპარაკებოდა, ოთახსაც კი ტოვებდა, როდესაც ის ოჯახის რომელიმე წევრს ესაუბრებოდა. თავად ემიგრანტის შვილიც იხსენებს, რომ წყენისა თუ ბრაზისგან დიდხანს საერთოდ არ შეეძლო დედასთან კომუნიკაცია.

„ძალიან დიდი ხანი დედაჩემს არც ვურეკავდი, არც ვწერდი, ისეთი მძაფრი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი“	**სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის**

2.2.5. განმარტოების სურვილი, გულჩათხრობილობა და მარტოობა

მონატრების, სევდის, ბრაზის, მიტოვებულობის, დანაშაულისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობა, მშობელთან განშორებით გამოწვეულ სხვა მძაფრ განცდებთან და ემოციური ზრუნვის დეფიციტთან ერთად, ზოგჯერ განმარტოების სურვილსა და გულჩათხრობილობაში, ზოგჯერ კი ჰიპერაქტიურ ქცევასა და მავნე ჩვევების გამომუშავებაში აისახება. როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების, ისე მიგრანტი მშობლების თუ სამშობლოში მყოფი აღმზრდელების დაკვირვებით, მშობლის ემიგრაციის შემდეგ, ბავშვები ხშირად ხდებიან გულჩათხრობილები და მელანქოლიურები, მუდმივად აქვთ განმარტოების, რეალობისგან მოწყვეტის სურვილი და მცდელობა, არიან ჩუმად, თითქმის არ ლაპარაკობენ, უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა და ნაკლებად ერთვებიან კოლექტიურ აქტივობებში, რაც უარყოფითად აისახება სოციალიზაციის პროცესზე და ხელს უშლის მათ ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ხშირად, ბავშვები უარს ამბობენ სოციალიზაციაზე და მთელი ყურადღება სწავლაზე გადააქვთ, განმარტოვდებიან გაკვეთილებთან თუ წიგნებთან, კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, რაც მათივე თუ აღმზრდელების შეფასებით, რეალობისგან მოწყვეტაში ეხმარებათ.

„ბოლო ორი თვის განმავლობაში უფრო ხშირად მაქვს მარტოობის განცდა, თითქმის ყოველ დღე. ასეთ დროს უბრალოდ ვზივარ, არაფერს ვაკეთებ. კითხვა ამიტომ დავიწყე, როცა ვკითხულობ, მთლიანად იმ სამყაროში გადავდივარ, რაც იქაა აღწერილი და გავრბივარ რეალობიდან“ **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის.**

შედარებით მცირე ასაკში განმარტოების სურვილი გამოიხატება **მარტო თამაშში.** ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბავშვი აღმზრდელებს სახლიდან გაეპარა და რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ პოულობდნენ. აღმოჩნდა, რომ ბავშვი თავისი სათამაშოებით განმარტოებული იჯდა და როდესაც ქცევის ახსნა სთხოვეს, ერთადერთი რამ უპასუხა „მე დედა მაინც არ დამიძახებდა“. ამ ასაკში შედარებით უფრო ხშირია ტირილის ეპიზოდებიც. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები საერთოდ არავის ელაპარაკებიან - არც თანატოლებს და არც უფროსებს. აღმზრდელების მცდელობები, რომ დაელაპარაკონ და კონტაქტი დაამყარონ, ხშირად წარუმატებელია. რესპონდენტების დაკვირვებით, ბავშვები განსაკუთრებულად ჩაკეტილები არიან, როდესაც ორივე მშობელი ემიგრაციაშია. ბაღის ერთ-ერთი აღმზრდელი იხსენებს, რომ ორივე მშობლის მიგრაციის შემდეგ, ბავშვმა საუბარი შეწყვიტა, საერთოდ არ ლაპარაკობდა, და ბაღში სიარულზეც უარი განაცხადა.

2.2.6. კომუნიკაციასთან დაკავშირებული ემოციები

ზოგადად, ემიგრანტ მშობლებს ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებსა და მათ აღმზრდელებთან. მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ხშირად მშობლები თავად უკავშირდებიან ოჯახის წევრებს მოცალეობის ჟამს, თუმცა, ხშირია კომუნიკაციის ინიციატივა ბავშვების და აღმზრდელების მხრიდანაც. ძირითადი სასაუბრო თემები ყოველდღიური საკითხებია, ემიგრაციაში მყოფ დედებს სურთ ყველა წვრილმანის შესახებ იყვნენ ინფორმირებულნი: **კვება, სწავლა, ჩაცმა, ამინდი, ფინანსური საჭიროებები** და ა.შ. დროთა განმავლობაში, ბავშვების ასაკის ცვლილებასთან ერთად, სასაუბრო თემებიც იცვლება. მიგრანტი მშობლები იმასაც აცნობიერებენ, რომ ხშირი კომუნიკაცია და ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების „კონტროლი“ შეიძლება უარყოფითად აისახებოდეს მათ ემოციურ მდგომარეობაზე და ზოგჯერ გამაღიზიანებელიც იყოს - . ბავშვები შედარებით ნაკლებად საუბრობენ მშობლებთან პირად განცდებზე, ყოველდღიურ გამოწვევებზე, რაც ხშირად დედაზე ზრუნვით აიხსნება - მათ არ სურთ ზედმეტად ანერვიულონ მშობლები. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირი კონტაქტის მიუხედავად, ფიზიკური სიშორე იწვევს ემოციურ გაუცხოებას.ეს გაუცხოება კი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც რთული გადასალახია.

> *„მე ყოველ წუთს მინდა კონტაქტი, ახლა ფიზიკურად ვარ აქ, თორემ, სულიერად სახლში ვარ. უბრალოდ, არ მინდა შევაწუხო ჩემი ზედმეტი ზარებით ბავშვები“* **ემიგრანტი მშობელი, ქალი, 2 ბავშვის დედა**

> *„გაუცხოების მომენტიც იყო. ადრე რომ იყო, ჩვეულებრივად ვიყავით. ახლა უკვე ცოტა გაუცხოებაც იყო. რაღაცნაირად რომ ვხედავდი, რომ იჯდა, ვერ ვიაზრებდი, რომ დედაჩემი იყო. ვიღაც სხვა მეგონა. ცოტა უფრო მორიდებული გავხდი მის მიმართ, ვიდრე ვიყავი“* **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის.**

უნდა აღინიშნოს, რომ მამების ემიგრაციის შემთხვევაში, კონტაქტი შედარებით იშვიათია, თუმცა კვლევაში იკვეთება, რომ სამშობლოში დარჩენილი ბიჭებისთვის მამასთან ხშირი კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ზემოთ აღინიშნა, რომ მშობლის მიგრაციით გამოწვეული ემოციური სირთულეები ხშირად ქცევითი პატერნების ცვლილებაზეც აისახება. ხშირად ზემოთ აღნიშნული სხვა გამოხატულებების პარალელურად, ბავშვები უარს აცხადებენ ჭამაზეც. ბაღის წარმომადგენლები იხსენებენ შემთხვევას, როდესაც მამის ემიგრაციის შემდეგ, ბავშვებმა (და-ძმამ) შეწყვიტეს ჭამა. ამ ფონზე უარესდება ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობაც - უქვეითდებათ იმუნიტეტი, ხშირად ავადმყოფობენ.

2.2.7. თვითდამაზიანებელი ქცევა, სუიციდური ფიქრები და მცდელობა

მშობლის მიგრაციით გამოწვეული ემოციური სირთულეები უკავშირდება თვითდამაზიანებელ ქცევას, სუიციდურ ფიქრებს და თვითმკვლელობის მცდელობასაც კი. მშობლები იხსენებენ შვილების მხრიდან თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტებს, მას მერე, რაც მშობლის ემიგრაციის შედეგად, შვილების ფსიქიკური მდგომარეობა დამძიმდა. თვითმკვლელობების მუქარას ბავშვების მხრიდან იხსენებენ სკოლების დირექტორებიც, რაც, მათი აზრით, მშობლის ყურადღების მიქცევის უკიდურესი გზაა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მწვავე შემთხვევების შესახებ ინფორმაცია მწირია. ისეთ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები, სადაც ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელია, აჩვენებს რომ ბავშვების თვითმკვლელობის შემთხვევები **დიდწილად არ არის რეგისტრირებული,** მაშინ როდესაც, მაგალითად რუმინეთში, არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, იტალიაში მომუშავე ემიგრანტი მშობლების ოთხმოცმა ბავშვმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით. კვლევის ავტორის აზრით, ეს სახელმწიფოების სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პირდაპირ შედეგია, რომლის თავიდან არიდებაც შესაძლებელია სწორი მიდგომებით.[20]

! *„ნევროზული რაღაც მჭირს და მარტივად ღიზიანდები. ბავშვობიდან მოდის ეს, მაგრამ რაც დედა წავიდა უფრო გამძაფრდა. ამიტომ მირჩევნია სახლში ვიყო. როცა გაღიზიანებული ვარ ან ყველაფერს ვამტვრევ, ან ვტირი ან საკუთარ თავზე გადამაქვს [თვითდამაზიანებელი ქცევა]. სკოლაში უფრო ჩემს თავს ვეუბნები რომ დავმშვიდდე და უფრო ტირილი მეწყება. ვიმიზეზებ ხოლმე რამეს, თუ მხედავენ. მაგალითად ფეხი მივარტყი, მტკივა და მაგიტომ ვტირი თქო ვეუბნები. ბოლო ორ თვეში 4-5 ჯერ დამემართა ასეთი ემოციური სიმძიმე“,* **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის.** !

2.2.8. დანაშაულის ჩადენის რისკ ფაქტორი

გაეროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის (რიადის პრინციპების) გაიდლაინების მიხედვით ემიგრაციაში მყოფი მშობლები მოზარდობის ასაკში მყოფი ბავშვებისთვის არასრულწლოვანთა დელინქვენტურობის რისკ ფაქტორია. რუმინეთის ერთ-ერთ ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელმა, რომელსაც 25-წლიანი გამოცდილება აქვს, აღნიშნა: „როცა ეს ბავშვები იზრდებიან და იბრძვიან საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, უმრავლესობა ვერ ახერხებს ადაპტაციას და წარუმატებლობას განიცდის.“

წელი	განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა	ემიგრანტი მშობლების შვილები (ჯამში)	პროცენტულად
2021	363	69	19%
2022	585	124	21%
2023	544	108	20%

[20] Badea (2020).

მიუხედავად იმისა, რომ როგორც მეთოდოლოგიის სექციაში აღინიშნა, საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია მწირი ან არასრულყოფილია, გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვხედავთ, რომ ბოლო წლებში, განრიდებული არასრულწლოვანების დაახლოებით მეხუთედი ემიგრანტის შვილია. 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვანიდან 69 არასრულწლოვანის (19%) ორივე ან ერთი მშობელი იმყოფებოდა საზღვარგარეთ (აქედან, 7 არასრულწლოვანის ორივე მშობელი, 36 არასრულწლოვანის დედა და 26 არასრულწლოვანის მამა იმყოფება ემიგრაციაში). 2022 წელს განრიდებული 585 არასრულწლოვანიდან 124 (21%) არასრულწლოვანის ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა (აქედან, 18 არასრულწლოვანის ორივე მშობელი, 65-ის დედა, ხოლო 41-ის მამა იმყოფებოდა საზღვარგარეთ). 2023 წელს ეს მაჩვენებელი 544 განრიდებული არასრულწლოვანის 20 პროცენტს შეადგენდა (108 ბავშვიდან შვიდის ორივე, 101-ის კი ერთ-ერთი მშობელი იმყოფებოდა ემიგრაციაში). სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათ საქმისწარმოებაში 2024 წელს იყო სამი საქმე, სადაც ბავშვის მშობელი იმყოფებოდა ან დაბრუნებული იყო ემიგრაციიდან და ეხებოდა ბავშვის სოციალურ უფლებებს, ბავშვის მიმართ ძალადობის, ფსიქოლოგიური ზეგავლენის, სავარაუდო უგულებელყოფისა და ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებს.

3. სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა მშობლის მიგრაციის პირობებში

მშობლის ემიგრაცია იწვევს **ოჯახის სტრუქტურის ცვლილებას** და მნიშვნელოვნად აისახება **ბავშვის განვითარებაზე**.

ემიგრაციის შედეგად, ბავშვი აწყდება:

- მშობელთან განშორებით გამოწვეულ **ფსიქო-ემოციურ სირთულეებს**;
- **ახალ გარემოსთან ადაპტაციის** საჭიროებას;
- ცხოვრების წესის ცვლილებებს.

გენდერული განაწილება ზრუნვაში

კვლევები ასევე საუბრობს დედის ემიგრაციის კრიტიკულ გავლენაზე ბავშვზე ზრუნვის სისტემაზე, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, დიდწილად, დედებს აქვთ აღებული. წინამდებარე კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ მიგნებებს.

- მამის ემიგრაციის შემთხვევაში — **დედა** იღებს სრულ პასუხისმგებლობას.
- დედის ემიგრაციის შემთხვევაში — ძირითადად **ბებია** ან სხვა **ქალი ნათესავი** ზრუნავს.
- საზოგადოებაში არსებობს **დაბალი მოლოდინი მამების მზრუნველობითი ჩართულობის** მიმართ. მაგალითად:
- *„ბავშვები დედაჩემთან დავტოვე, ჩემი ქმარი კი იყო, თუმცა ქალი ბავშვებთან აუცილებელია იყოს“*
- ბავშვები ხშირად **ბებიას** ასახელებენ, როგორც ყველაზე სანდო, მზრუნველ და ემოციურად მნიშვნელოვან ფიგურას.

მეურვეობა და ზრუნვის პრაქტიკა

ორივე ან მარტოხელა მშობლის ემიგრაციის შემთხვევაში, ბავშვებზე ზრუნავენ:

- ბებია-ბაბუები;
- სხვა ახლო ნათესავები, რომელთანაც ბავშვებს უკვე ჰქონდათ თანაცხოვრების გამოცდილება.

მშობლები **იშვიათად განიხილავენ ბავშვებთან მეურვეობის საკითხს** — გადაწყვეტილებები ხშირად ერთპიროვნულია.

„მყავს ორი მოსწავლე ისეთი, რომელსაც ბებიაც არ ჰყავთ და მამასთან დარჩნენ, დედა რომ წავიდა. ზამთარში მოვიდნენ ბავშვები, მხოლოდ პერანგები ეცვათ - ძალიან აკლიათ ყურადღება და ძალიან ბევრია ასეთი ბავშვი“.[21]

მშობლები თითქმის არასდროს განიხილავენ შვილებთან მეურვეობის საკითხს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვი შედარებით მცირეწლოვანია, ან/და მშობელს არ აქვს არჩევანი, თუ ვისთან დატოვოს ბავშვი.

თუმცა, ვინაიდან გაფართოებულ ოჯახთან ცხოვრების გამოცდილება, ან მათთან მჭიდრო ურთიერთობა ხშირია, ბავშვები ბუნებრივად იღებენ მშობლის გადაწყვეტილებას. იშვიათია შემთხვევები, როდესაც მშობლებს არჩევანი აქვთ გადაწყვეტილების მიღების დროს, თუ ვისთან დატოვონ ბავშვები გამგზავრების შემდეგ, თუმცა, ასეთი ალტერნატივების არსებობის შემთხვევაში, ბავშვის აზრსაც ითვალისწინებენ.

ბავშვებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ არჩევანის შემთხვევაში, მათთვის პრიორიტეტული იყო ნაცნობ გარემოში დარჩენა, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს,

[21] აროშვილი (2021).

როგორიც მშობელთან განშორებაა, გარემოს გამოცვლა დამატებითი სტრესია. ბავშვები, ძირითადად, აღმზრდელებთან ურთიერთობას დადებითად აფასებენ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მათ მეურვესთან თანაცხოვრების მძიმე გამოცდილებები აქვთ, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და განვითარების პროცესზე.

რეგიონში ჩატარებული მსგავსი კვლევები აჩვენებს, რომ ხშირად, ემიგრაციაში წასვლის წინ, მშობლები იურიდიულად არ აფორმებენ მინდობილობას იმ პირებზე, რომლებიც სამშობლოში დარჩენილ ბავშვზე ზრუნავენ, და არც შესაბამის ინსტიტუციებს აფრთხილებენ მათი ემიგრაციის შესახებ, რაც შემდეგ სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას ზღუდავს.[22] წინამდებარე კვლევის არაერთი მიგნება მიანიშნებს ამ ტენდენციების არსებობაზე საქართველოშიც, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ორივე ან მარტოხელა მშობლის მიგრაციის შემთხვევაში. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ნაწილი ამბობს, რომ ძირითადად მინდობილობები მოწესრიგებულია, ნაწილი აცხადებს, რომ მინდობილობები ხშირად არ კეთდება, თუმცა ამ მხრივ სამართლებრივი სირთულეები არ წარმოიშობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ოფიციალური მეურვეობის არარსებობა არაერთ ბიუროკრატიულ წინაღობას ქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვების უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის თვალსაზრისით, მაგალითად, წიგნების გადაცემის დროს მიღება-ჩაბარებაზე ხელის მოწერის, დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცესში კანონიერი წარმომადგენლის დასწრების საჭიროების, თუ სხვა შემთხვევებში. იშვიათად, თუმცა მაინც აღინიშნება შემთხვევები, როდესაც, მშობლების ემიგრაციის შემდეგ, ბავშვი საერთოდ ვერ რეგისტრირდება საგანმანათლებლო სისტემაში მეურვეზე გაუფორმებელი მინდობილობის გამო. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ხშირად მშობლები არც კი აფრთხილებენ დაწესებულებას ემიგრაციის შესახებ და დაწესებულებების წარმომადგენლები ბავშვებში ქცევის ცვლილებების თუ კონცენტრაციის ნაკლებობის გამო ინტერესდებიან მშობლების ადგილმდებარეობით. მინდობილობის არქონა წინაღობებს ქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმაც. *კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის გამო, ბავშვებს ეზღუდებათ წვდომა მუნიციპალურ პროგრამებზე, რაც მათ დამატებით სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე აყენებს.*

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება

როდესაც მშობელი ემიგრაციაშია, სამშობლოში დარჩენილ ბავშვზე კი ზრუნავს ოჯახის წევრი, ბავშვის საჭიროებებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად, ან გადაწყვეტილების მიმღები, ძირითადად, მიგრანტი მშობელია. მსგავსად, აღზრდის პრინციპების შესახებ, დისციპლინის, ჯანმრთელობის თუ სხვა საკითხების გარშემო შეთანხმება მშობელსა და აღმზრდელს

შორის ხდება საჭიროებისამებრ, თუმცა, მშობლებს, აღმზრდელებსა თუ ბავშვებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ ხშირად მშობლებისა და აღმზრდელების მიდგომები განსხვავდება, მათ შორის, მიდგომები განსხვავდება აღმზრდელებს შორის, როდესაც ბავშვზე რამდენიმე ნათესავი ზრუნავს (მამა და ბებია, ბებია და ბაბუა, ა.შ.).
ხშირ შემთხვევაში, აღმზრდელები ბავშვებს თავად აცნობებენ, რომ მშობლის გარეშე დამოუკიდებლად ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, როდესაც გადაწყვეტილებას აღმზრდელი იღებს, ეს ბავშვებში გაღიზიანებას იწვევს, შეგრძნებას, რომ ვიღაც მშობლის ჩანაცვლებას ცდილობს. კვლევამ აჩვენა, რომ აღზრდის პროცესში მეურვეები ხშირად აწყდებიან როგორც ემოციურ, ისე პრაქტიკულ სირთულეებს. „სხვის შვილზე" ზრუნვა, მათი სიტყვებით, დიდი პასუხისმგებლობაა, რამდენადაც მათ უწევთ არა მხოლოდ ყოველდღიური საჭიროებების და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ იმ ემოციური დანაკლისის შევსებაც, რომელიც ჩნდება მშობელთან განშორებით. *მეურვეებს ხშირად უწევთ რთული ბალანსის დაცვა „უდედოდ დარჩენილი ბავშვის" მიმართ სითბოსა და დისციპლინის საჭიროებას შორის. აღნიშნული გამოწვევა ხაზგასმულია საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ნარატივებშიც.*

მასწავლებლების დაკვირვებით, მეურვეები ხშირად ერიდებიან ბავშვებთან „სიმკაცრის გამოჩენას", რომ არ გაამძაფრონ მშობლის ემიგრაციით გამოწვეული ემოციური სტრესი. შედეგად, ბავშვებს უჭირთ „დისციპლინის, რუტინის გამომუშავება", რაც კიდევ ერთი ფაქტორია, რომელმაც მშობლის მიგრაციით გამოწვეულ ემოციურ სირთულეებთან ერთად, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს აკადემიურ მოსწრებასა და სოციალური უნარების განვითარებაზე.[23]

მშობლის ემიგრაციის შემდეგ, სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისთვის, მზრუნველის გარდა, მხარდაჭერის/თანადგომის მწირი სისტემებია ხელმისაწვდომი. არის შემთხვევები, როდესაც მზრუნველთან ერთად, ბავშვზე ზრუნავენ გაფართოებულ ოჯახში/შინამეურნეობაში მცხოვრები სხვა ნათესავებიც. ზოგიერთ შემთხვევაში, ნათესავებს ზრუნვის სხვადასხვა პასუხისმგებლობა აქვთ აღებული, საჭიროებისამებრ. არის შემთხვევებიც, როდესაც გაფართოებული ოჯახი თუ სხვა ნათესავები სათანადო მხარდაჭერას ვერ უცხადებენ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს, რაც მათთვის მნიშვნელოვანი წნეხია, განსაკუთრებით ისეთ დროს, როდესაც მშობლის ემიგრაციის შედეგად, ბავშვებს უწევთ ოჯახის წევრების ზრუნვაზე პასუხისმგებლობის აღება - რიგ შემთხვევებში, მშობლებისა და აღმზრდელების დაკვირვებით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სამშობლოში

> *„დახმარებით არავინ მეხმარება, მაგრამ თქმით იცოდნენ, თუ დაგჭირდება თქვი და დაგეხმარებიო. მაგრამ მეტი ინიციატივა არ გამოუხატავთ [ნათესავებს]. მე კიდე არ მიყვარს სხვისი შეწუხება"*
> **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის**

[23] Pratheesha and Vijayanka (2025).

დარჩენილი ბავშვების მიმართ, რაც მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. მხარდაჭერის სხვა, ინსტიტუციონალიზებული სისტემები, პროგრამები თუ მუნიციპალური სოციალური სერვისები სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისთვის საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

4. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების გამოწვევები საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესში

შესავალი

მიგრაციის შედეგად ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ავტომატურად ბავშვების კეთილდღეობაში არ ითარგმნება. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები ზრდის განათლებაზე ხელმისაწვდომობას, საგანმანათლებლო პროცესზე უარყოფითად აისახება კომპლექსური პროცესები, რომლებიც ტრანსნაციონალური ოჯახების ყოფას უკავშირდება.[24]

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვები არაერთ გამოწვევას აწყდებიან საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში, რომელთაგან ნაწილი მშობლის ემიგრაციის შემდეგ შექმნილ ფსიქო-ემოციურ ფონს უკავშირდება, ნაწილი რესურსების ხელმისაწვდომობას, ნაწილი კი დაკისრებულ მზრუნველობით პასუხისმგებლობებს.

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ დედის ემიგრაციას მეტად აქვს უარყოფითი გავლენა ბავშვების საგანმანათლებლო პროცესზე, ვიდრე მამების ემიგრაციას,[25] თუმცა წინამდებარე კვლევის თვისებრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ *მამის ემიგრაცია ასევე მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბავშვების ფსიქო-ემოციურ ჯანმრთელობას, რაც საგანმანათლებლო პროცესზეც უარყოფითად აისახება, განსაკუთრებით ბიჭების შემთხვევაში.* თვისებრივი კვლევა მიუთითებს გარკვეულ გენდერულ განსხვავებებზე მშობლის მიგრაციის გავლენების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ დედის მიგრაცია, განსაკუთრებით მცირე ასაკში, ერთნაირად მძიმედ აისახება როგორც გოგოებზე, ისე ბიჭებზე, ბიჭების შემთხვევაში განსაკუთრებით რთული შედეგები მოჰყვება მამის მიგრაციასაც, გოგოებთან შედარებით. რესპონდენტები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც მამის წასვლა განსაკუთრებით ცუდად აისახა ბიჭ აღსაზრდელებსა თუ მოსწავლეებზე. თავად სამშობლოში დარჩენილი არასრულწლოვანი ბიჭებიც, ორივე მშობლის მიგრაციის პირობებში, ინტერვიუებში საუბრობენ მამასთან სიახლოვის მნიშვნელობაზე. ამ ტენდენციაზე მიანიშნებს საერთაშორისო ლიტერატურაც -

> „ახლა რომ ვიაზრებ, მამა რომ აქ ყოფილიყო, ბევრად სხვანაირად ვიქნებოდი. ფეხბურთიდან არ გამოვიდოდი და ბევრად უკეთესად მეცოდინებოდა თამაში“, **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, ბიჭი, 15 წლის**

[24] Bredl (2010).

[25] Cortes (2015).

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ შემთხვევების უმრავლესობაში (60%), აღმზრდელების დაკვირვებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის გამოწვევები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში თანატოლების მსგავსია. შემთხვევების 10 პროცენტში, მსგავსი გამოწვევები, თანატოლებთან შედარებით საგრძნობლად ან მცირედით უფრო მაღალია, 13 პროცენტში კი - საგრძნობლად ან მცირედით უფრო დაბალი. სკოლამდელი დაწესებულებების თითქმის მეხუთედში (18%) აღმზრდელებს უჭირთ ამ გამოწვევების შეფასება (დიაგრამა 9).



დიაგრამა 9: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, გამოწვევები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში... (%)

4.1. ყურადღებისა და კონცენტრაციის დეფიციტი

საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში არსებულ გამოწვევებს შორის, ყველაზე ხშირად სახელდება კონცენტრაციისა და ყურადღების დეფიციტი **(40%)** და განმავითარებელ თამაშებში/აქტივობებში ნაკლები ჩართულობა **(22%).** შედარებით იშვიათად სახელდება განმავითარებელი აქტივობების შესრულების სირთულე და სხვა გამოწვევები. მსგავსი გამოწვევების იდენტიფიცირება უჭირთ ბაღის პედაგოგებს შემთხვევების **27** პროცენტში (დიაგრამა 10).



დიაგრამა 10: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების გამოწვევები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში? (იმ 10%-დან, რომელიც ხედავს გამოწვევებს საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %)

თვისებრივი მონაცემებიც ადასტურებს, რომ მშობლის მიგრაციის შემდეგ, ბავშვების გაუარესებული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა უარყოფითად აისახება მათ საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესზეც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მშობლის მიგრაციით გამოწვეულ სტრესზე ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი რეაქცია თვით-იზოლაციაა, რაც კურიკულუმით გათვალისწინებულ განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობაზე უარყოფითად აისახება. ბავშვებს უჩნდებათ ყურადღების და კონცენტრაციის დეფიციტიც, უქრებათ სწავლის, განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის და აქტიურობის მოტივაცია, რაც როგორც განმავითარებელ აქტივობებში ეფექტურ მონაწილეობას, ისე საგანმანათლებლო პროცესს უშლის ხელს.

„პირველი თვე ძალიან სტრესული იყო ჩემთვის. ნაკლებად მახსოვს ყველაფერი. სწავლაც ნაკლებად მახსოვს. ნაკლებად ვიყავი ჩართული გაკვეთილებზეც ალბათ. არაფერი არ მაინტერესებდა. სულ ეგ მიტრიალებდა თავში: რატომ წავიდა? სად წავიდა? ახლა როგორ არის? ნეტა კარგად არის?“ **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის**

ქცევითი სირთულეები, ხშირად, უარყოფითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზეც. ერთ-ერთი მასწავლებელი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მშობლის მიგრაციის შემდეგ, მოსწავლის ქცევა და აკადემიური მოსწრება უეცრად შეიცვალა - ბავშვი აღარ სწავლობდა, დაბალ ნიშნებს იღებდა, ისტერიულად იქცეოდა - კლასში მაგიდის ქვეშ ძვრებოდა ან საპირფარეშოში იმალებოდა ხოლმე. შემდეგ გაირკვა, რომ ერთადერთი მშობელი, დედა, ემიგრაციაშია და ბავშვისთვის, როგორც ჩანს, ეს დედის ყურადღების მიპყრობის გზა იყო. მშობლის დაბრუნების შემდეგ ყველა პრობლემა მოგვარდა. საგანმანათლებლო პროცესზე უარყოფითად აისახება დისციპლინის რღვევაც, რაც ხშირად მშობლის მიგრაციას უკავშირდება. ბავშვების ქცევა იცვლება იმ განცდით, რომ მშობლები არ არიან და არ აკონტროლებენ - გაკვეთილებზე დაგვიანება, დისციპლინა კლასში, გაკვეთილების მოუმზადებლობა და ა.შ. შედეგად, ვინაიდან სამშობლოში დარჩენილი ბავშვები სრულად ვერ ერთვებიან საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესში, ვერც საკუთარ შესაძლებლობებს იყენებენ სრულად. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საგანმანათლებლო პროცესზე მშობლის ემიგრაცია განსაკუთრებით მძიმედ აისახება საბაზისო საფეხურის მოსწავლეებს შორის, მათი მცირე ასაკიდან გამომდინარე - ***„90 პროცენტში მაინც აკადემიური მოსწრება საგრძნობლად იკლებს“*, საჯარო სკოლის დირექტორი, კაცი.**

4.2. უარი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარულზე

სამშობლოში დარჩენილი ზოგიერთი ბავშვი საერთოდ უარს აცხადებს ბაღში/სკოლაში სიარულზე, რასაც, კვლევის შედეგების მიხედვით, რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს ხოლმე: (1) ბავშვი მშობლის მიგრაციით გამოწვეული სტრესის და ტრავმის გამო, და/ან პროტესტის ნიშნად უარს აცხადებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე, (3) ბავშვი

არის ბულინგის მსხვერპლი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან (4) მშობლის, განსაკუთრებით დედის მიგრაციის შედეგად დაკისრებული ზრუნვითი პასუხისმგებლობები ხელს უშლის ბავშვს საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულებების წარმომადგენლები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც სამშობლოში დარჩენილმა ბავშვმა შეწყვიტა ბაღსა თუ სკოლაში სიარული **მშობლის მიგრაციით გამოწვეული სტრესის** შედეგად. ერთ-ერთი აღმზრდელი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბაღში ბავშვის მიყვანის შემდეგ, მშობელი გაუფრთხილებლად გაემგზავრა. ამის შემდეგ ბავშვს გაუჩნდა მიტოვების ძლიერი შიში, რომელიც ბაღში ყოველი მიყვანისას უაქტიურდებოდა.

> *„ბავშვის შიშთან დაკავშირებით მინდა ასეთი მაგალითი მოვიყვანო, გვყავდა ერთ-ერთი აღსაზრდელი, რომელიც ორი წლის ასაკიდან ირიცხებოდა ბაღში, მშვენივრად ადაპტირებული იყო ბაღის გარემოსთან, თუმცა დადგა დრო, როდესაც ერთ დღეს ორივე მშობელმა მოიყვანა ბავშვი ბაღში, ეს იყო უკვე 5-6 წლიანთა სასწავლო წლის დასაწყისში, და აღმოჩნდა, რომ ერთ ერთი მშობელი წავიდა, დედა წავიდა, და გააგრძელა ბავშვმა მამასთან ცხოვრება. ამის შემდეგ მოხდა ის, რომ ბავშვი კატასტროფულად ტიროდა ბაღში მოსვლის დროს. ბოლოს ისე მოხდა, რომ ბავშვმა ველარ იარა სასწავლო ასაკის ჯგუფში, გამომდინარე იქიდან, რომ იმის შიში ჰქონდა, რომ აი მე დედამ რომ ბაღში მიმიყვანა და დამტოვა, მამაც რომ ბაღში მიმიყვანს, დამტოვებს და წავა. ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ბოლო სამი თვე ეს ბავშვი როგორღაც ბაღში მოსულიყო, მან იმდენად დიდი სტრესი მიიღო, რომ მამაც დატოვებდა ბაღში მოყვანის მერე“,* **საჯარო საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსი, ქალი.**

ერთ-ერთი დირექტორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც დედის ემიგრაციის შემდეგ, ბავშვი პროტესტის ნიშად არ დადიოდა სკოლაში, მისთვის ეს პროტესტი იყო ერთგვარი ბერკეტი, რომლის საშუალებითაც დედას აიძულებდა სახლში დაბრუნებულიყო.

> *„დამრიგებელმა შემომჩივლა, რომ არ დადის ბავშვი სკოლაში... წავედი დამრიგებელთან და მის მეგობართან ერთად მასთან სახლში და რომ მივედი მამამ გვითხრა, რომ არ გამოდის თავისი ოთახიდან 10 დღეაო, მარტო გამოვა შეჭამს, არც იბანს, არაფერს არ აკეთებს, კონტაქტში არ შემოდისო. გამოვიდა ჩვენ რომ მივედით და ვესაუბრეთ ძალიან ბევრი, ძალიან ჩუმად, წყნარად გვისმინა, ვესაუბრეთ, რომ აუცილებლად უნდა მოსულიყო სკოლაში. და მოვიდა მერე სკოლაში, და მთხოვა მე, რომ საღამოს, როდესაც არავინ არ იქნებოდა, მარტო რომ მოსულიყო რადგან რაღაც ჰქონდა სათქმელი და რომ მოვიდა მითხრა ასეთი რამ, რომ მე მინდა, რომ მამაჩემი წავიდეს და დედაჩემი ჩამოვიდესო... და მე ვუთხარიო, რომ თუ ამას არ გააკეთებთ, მე არ ვივლი სკოლაშიო“* ,**საჯარო სკოლის დირექტორი, კაცი.**

მშობლები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც მათი გამგზავრების შემდეგ, სკოლაში, როგორც მასწავლებლების, ისე თანატოლების მხრიდან ბულინგის გამო, ბავშვს სკოლაში სიარული აღარ უნდოდა. ბულინგის მიზეზები შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა,

მიგრანტ მშობლებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ ბულინგი უკავშირდება მშობლის ემიგრაციასაც - „მშობელმა მიგატოვა, დაგტოვა“.

4.3. ასაკისა და განვითარების დონის შეუსაბამო პასუხისმგებლობების გავლენა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობაზე

როგორც წინამდებარე, ისე საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს უწევთ თავიანთი ასაკისა და განვითარების ეტაპისთვის შეუფერებელი პასუხისმგებლობების აღება - **ჩართვა საშინაო და ზრუნვის შრომაში,** რაც მნიშვნელოვანი წნეხია მათი ფსიქიკისთვის და ზღუდავს საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას.[26]

ამ ფენომენს, განვითარების ფსიქოლოგიაში ხშირად *გამშობლებას (parentification)* უწოდებენ, რასაც მნიშვნელოვანი გენდერული განზომილება აქვს - მშობლის როლს, ძირითადად, გოგოები ირგებენ. მყისიერ უარყოფით შედეგებთან ერთად, მშობლის პასუხისმგებლობების აღება ბავშვებს მნიშვნელოვან დაღს ასვამს გრძელვადიან პერსპექტივაშიც - ხშირად არის *შფოთვითი აშლილობების, იდენტობის კრიზისის, დაქვეითებული თვითრწმენის წყარო*, რაც ხელს უშლის ადამიანებს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობაში.[27]

> *„ძალიან მეცოდება ჩემი უფროსი გოგო, ჩემს იქ ყოფნაშიც ხომ მეხმარებოდა და ჩემი წამოსვლის შემდეგ, საერთოდ მარტო უვლის უმცროს და-ძმას... მაგრამ აბა რა გვექნა?!“*, **ემიგრანტი მშობელი, ქალი, შვიდი შვილის დედა.**

წინამდებარე კვლევაში ვხვდებით როგორც *ინსტრუმენტალური,* ისე *ემოციური გამშობლების* შემთხვევებს. ბავშვებს უწევთ როგორც საოჯახო საქმის შესრულება - საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ოჯახის წევრების ჰიგიენაზე ზრუნვა, უმცროსი და-ძმის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა - მეცადინეობაში დახმარება, სკოლაში მშობლის სახელით სიარული და სხვა, ისე უმცროს და-ძმაზე ემოციური ზრუნვისა და მხარდაჭერის პასუხისმგებლობის აღება. კვლევაში მონაწილე მშობლები, ბავშვები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც გოგოები ოჯახის წევრებზე - და-ძმაზე, ავადმყოფ მშობელსა თუ მოხუც ბებია-ბაბუაზე ზრუნვის გამო ვერ ასწრებენ მეცადინეობას და სკოლასაც ხშირად აცდენენ, ძირითადად ისეთ შემთხვევებში, როდესაც დედა ემიგრაციაშია, მამა კი რჩება ოფიციალურ მეურვედ, როგორც ბავშვების, ისე მიგრანტი მშობლების შეფასებით, ეს პასუხისმგებლობები ბავშვებზე ძალიან ცუდად მოქმედებს. მათ უჭირთ მეცადინეობა და სოციალიზაცია, იმდენად იღლებიან, რომ ყველაფრის მოტივაციას კარგავენ:

> *„ფაქტობრივად დედის როლი აქვს შეთავსებული, ბავშვობა ფაქტობრივად აღარ აქვს“,* **ემიგრანტი მშობელი, ქალი, სამი შვილის დედა.**

[26] Cebotari *et al.* (2018).

[27] Jurkovich (1997), Hooper (2007).

კვლევაში იკვეთება საკმაოდ კრიტიკული შემთხვევებიც. სამშობლოში დარჩენილი ერთ-ერთი ბავშვი აცხადებს, რომ დედის ემიგრაციის შემდეგ, ოჯახში მისი მზრუნველობითი პასუხისმგებლობები იმდენად გაიზარდა, რომ სკოლაში იშვიათად დადის და სწავლაშიც არავინ ეხმარება. ამის ფონზე, მას მუდმივად ეჭვი შეაქვს საკუთარ შესაძლებლობებში და სამომავლო პერსპექტივებში, ვერ წარმოუდგენია, რომ ოდესმე თავს დააღწევს ამ პასუხისმგებლობებს და შეძლებს ოჯახის მოვლის გარდა „რამის გაკეთებას“.

„დედა რაც წავიდა ყველაფერი ჩემზე გადმოვიდა. ჩართული ვარ დიასახლისობაში, ყველაფერში, რასაც დიასახლისი უნდა აკეთებდეს, ჩემი ძმის მშობლის როლის შესრულება. მამა ავადმყოფია და მასზე ზრუნვა. საერთოდ ყველაფერი... წინასწარ არავინ დამლაპარაკებია ჩემს როლზე [დიასახლისობა], თავისთავად მოხდა... 14 წლის რომ ხარ და დედა გტოვებს, ხალხი კი ისე აღგიქვამს როგორც 30 წლის ქალს, შენ კიდე ბავშვი ხარ. ცოტა რთულია გააგებინო, მე რასაც ვაკეთებ ეს ჩემი მაქსიმუმია და შენ იმაზე მეტს მთხოვ, ვიდრე ეს ჩემს ძალისხმევას შეუძლია... დედაჩემის წასვლამდე ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. დავდიოდი თითქმის 5-6 წრეზე. მანდაც ძალიან კარგი ვიყავი. დედაჩემის წასვლის შემდეგ არაფრის ინტერესი არ მაქვს. მგონია, რომ არაფერი გამომივა“, **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის.**

მაშინაც კი, როდესაც ბავშვებს ჰყავთ მზრუნველი და საოჯახო თუ ზრუნვის შრომაში ჩართვა არ უწევთ, ოჯახის უმცროს წევრებზე ზრუნვა მაინც მნიშვნელოვან პასუხისმგებლობად იქცევა და ემოციურ ტვირთად აწვება ბავშვებს. სამშობლოში დარჩენილი ბავშვები აღნიშნავენ, რომ ნაადრევად მოუწიათ „დიდის“ როლის შესრულება, რაც, ისევ და ისევ, ბავშვის განვითარების ეტაპებისთვის შეუფერებელი ემოციური წნეხია და გრძელვადიან პერსპექტივაში, არაერთი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

„დედმამიშვილობაში უფროსი რომ ხარ, თითქოს ყველანაირი პასუხისმგებლობა შენ გაქვს აღებული... თითქოს ეს მთელი პასუხისმგებლობა მე მქონდა ჩაბარებული, ეს ბავშვები მე მყავდა და მე უნდა მიმეხედა თითქოს და დედის მოვალეობა და მისი იქ ყოფნა ყველანაირად უნდა გადამეფარა... ბავშვები რომ ახლა იწყებენ რაღაცაზე ფიქრს, მე ძალიან ადრეულ ასაკში დავიწყე. ყველა მაგას აღნიშნავდა, რომ უკვე ჩამოუყალიბდა შორსმხედველოვაო. ცხოვრებაზე დავფიქრდი და სხვანაირი კუთხით ვუყურებდი, დიდური კუთხით... მზრუნველობაშიც მაგას ვგულისხმობდი, თითქოს დედის როლი შევასრულე“, **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის.**

სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის პასუხისმგებლობის გრძნობის ზრდა, ზოგიერთ შემთხვევაში, გაუმჯობესებულ აკადემიურ მოსწრებასაც უკავშირდება - ბავშვები ცდილობენ იყვნენ **„კარგი შვილები“,** ზედმეტად არ ანერვიულონ, გაახარონ ემიგრაციაში მყოფი მშობლები. რამდენიმე შემთხვევაში აღინიშნა, რომ ბავშვების აზრით, კარგი სწავლითა და წარმატებული მომავლის შექმნით, ისინი მშობლების მალე დაბრუნებას შეძლებენ. ზოგჯერ, „კარგი შვილობით“ ბავშვები იმ დანაშაულის გრძნობის გადალახვას ცდილობენ, რომელიც მშობლის ემიგრაციის შედეგად ჩნდება, ზოგჯერ კი ბავშვებისთვის ეს შეგუების, ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავების ერთგვარი

მექანიზმია. დადებითი ასპექტების მიუხედავად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განვითარების ფსიქოლოგია ამ მოვლენას სტრეს-ფაქტორებს უკავშირებს და პასუხისმგებლობის ეს სიმძიმე ბავშვის ასაკისთვის შეუსაბამოდ, მისი ფსიქო-ემოციური განვითარებისთვის საზიანოდ მიაჩნია, რაც შეიძლება გადაიზარდოს შფოთვით აშლილობებში, დეპრესიაში, ფიზიკურ თუ ფსიქიკურ გამოფიტვაში.

კვლევაში მონაწილე სოციალური მუშაკებიც მიიჩნევენ, რომ საზოგადოებისა და მშობლების მხრიდან ზედმეტი პასუხისმგებლობის დაკისრებამ, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბავშვების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას და გააღრმაოს მშობლის ემიგრაციით მიღებული სტრესი.

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ საგანმანათლებლო თუ განმავითარებელ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ხშირად მეცადინეობაში, გაკვეთილების მომზადებაში ბავშვებს ეხმარებიან აღმზრდელები, თუმცა, ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ ყველა საგანში დახმარებას, განსაკუთრებით როდესაც ბავშვი სწავლის შედარებით მაღალ საფეხურზეა. უფრო იშვიათ შემთხვევებში, მშობლები ქირაობენ **კერძო მასწავლებელს საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ ბავშვების საგანმანათლებლო პროცესის მხარდასაჭერად.** არის შემთხვევებიც, როდესაც მშობლის გამგზავრების შემდეგ, ბავშვების რუტინა სრულიად ირღვევა და ისინი ვეღარ ახერხებენ ჩაერთონ სკოლის შემდეგ იმ აქტივობებში, რომლებშიც მანამდე იყვნენ ჩართულები და რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მათი ფიზიკური, ფსიქიკური, თუ გონებრივი განვითარებისთვის.

> *„საერთოდ ბავშვობაში შემიყვანეს ფეხბურთზე, მამაჩემმა დამაწყებინა სიარული. რამდენიმე თვე დავდიოდი, შემდეგ მამა წავიდა ამერიკაში და ჩემს ფეხბურთზე ტარებას ვერ ახერხებდნენ და გამომიყვანეს... ფინანსების გამო არა. ხო უნდა წავეყვანე, წამოვეყვანე, ვარჯიშები და ვერ ახერხებდა... ვისურვებდი ბავშვობიდან ფეხბურთზე რომ ვეტარებინე და არ გამოვეყვანე“,* **ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი შვილი, ბიჭი, 15 წლის**

5. კომუნიკაცია სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობლებთან

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნახევარში **(50%)** აცხადებენ, რომ მიგრანტი მშობლები აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში, **26** პროცენტის შემთხვევაში - ნაკლებად, ხოლო **10** პროცენტის შემთხვევაში კი საერთოდ არ მონაწილეობენ. დაწესებულებების **14** პროცენტს უჭირს მიგრანტი მშობლების ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა (დიაგრამა 11).



დიაგრამა 11: რამდენად არიან ჩართულები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტი მშობლები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში? (%)

როდესაც საქმე ეხება თავად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მხრიდან მათთან ჩარიცხული სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობლებთან კომუნიკაციას, დაწესებულებების წარმომადგენლების თითქმის ნახევარი **(49%)** აცხადებს, რომ მიგრანტ მშობლებთან კომუნიკაცია აქვს საჭიროების მიხედვით. ყოველკვირეული კომუნიკაცია აქვს **14** პროცენტს, ყოველთვიური **2** პროცენტს, რამდენიმე თვეში ერთხელ კი - **3** პროცენტს. დაწესებულებების წარმომადგენლების **20%** აცხადებს, რომ არასდროს აქვს კომუნიკაცია მიგრანტ მშობლებთან, **13** პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა (დიაგრამა 12).



დიაგრამა 12: რამდენად ხშირად უკავშირდებით სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობელს/მშობლებს? (%)

დაწესებულებების წარმომადგენლების იმ **68** პროცენტიდან, რომელსაც გარკვეული სიხშირით მაინც აქვს კომუნიკაცია მიგრანტ მშობლებთან, დიდი უმრავლესობა **(86%)** აცხადებს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია აქვს სოციალური ქსელების (ფეისბუქის მესენჯერის, ვოთსაფის, ვაიბერის თუ სხვა) საშუალებით. შედარებით კალები - **17%** აცხადებს, რომ კომუნიკაცია აქვს მობილური ტელეფონის საშუალებით, **10** პროცენტს კი კომუნიკაცია აქვს სამშობლოში დარჩენილი ბავშვის მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით (დიაგრამა 13).



დიაგრამა 13: რომელი საკომუნიკაციო არხების საშუალებით უკავშირდებით სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობელს/მშობლებს? (იმ 68%-დან, რომელსაც კომუნიკაცია აქვს ემიგრანტ მშობლებთან. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %)

გამოკითხვის თანახმად, კიდევ უფრო აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში სამშობლოში დარჩენილი ბავშვების აღმზრდელები/კანონიერი წარმომადგენლები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დიდ უმრავლესობაში (**78%),** დაწესებულებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მზრუნველები აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში, და მხოლოდ **13** პროცენტის შემთხვევაში ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულები. დაწესებულებების **9** პროცენტს უჭირს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მზრუნველების ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა (დიაგრამა 14).



დიაგრამა 14: რამდენად არიან ჩართულები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების აღმზრდელები/კანონიერი წარმომადგენლები საგანმანათლებლო პროცესში? (%)

თვისებრივი კვლევაც აჩვენებს, რომ მიგრანტ მშობლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის, ხშირ შემთხვევაში, მჭიდრო კომუნიკაციაა. მშობელს და აღმზრდელს/მასწავლებელს აქვთ ერთმანეთის საკონტაქტო ინფორმაცია და ცვლიან ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. *გარდა ამისა, დაწესებულებებში ხშირია მშობლების ჯგუფების არსებობის პრაქტიკა, რაც ამარტივებს მშობელსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციას.* ზოგიერთ

შემთხვევაში მშობლები თავად უკავშირდებიან დაწესებულებას, ძირითადად აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, სკოლაში სიარულის სიხშირის, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების გამოსარკვევად. ზოგჯერ, მშობლის მხრიდან გაფრთხილებისა და თხოვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების წარმომადგენლები (დირექტორი, აღმზრდელი ან მასწავლებელი) თავად უკავშირდებიან ემიგრანტ მშობლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, კომუნიკაციის საგანი იცვლება. ბაღის ასაკში, კითხვები ხშირად ეხება და ა.შ. და ნაკლებად განმავითარებელ/საგანმანათლებლო პროცესში მათი შვილების ჩართულობას, რასთან დაკავშირებითაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამშობლოში დარჩენილი ბავშვები არაერთ გამოწვევას აწყდებიან. სკოლის ასაკში კი პირიქით - მშობლები მეტად ინტერესდებიან აკადემიური მოსწრებით და ნაკლებად ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობით.

6. მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლების უმრავლესობის (**56%**) დაკვირვებით, სამშობლოში დარჩენილი ბავშვები ერთნაირად საჭიროებენ მხარდაჭერას იმის მიუხედავად, თუ რომელი მშობელია წასული ემიგრაციაში. დაწესებულებების მეოთხედში (**25**%) მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებულად რთული გამოწვევების წინაშე დგებიან ბავშვები მაშინ, როდესაც ორივე მშობელი ემიგრაციაშია, მეათედში კი **(10%)** - როდესაც დედაა ემიგრაციაში, დაწესებულებების **9** პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა (დიაგრამა 15).



დიაგრამა 15: თქვენი დაკვირვებით, ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისადმი სამშობლოში დარჩენილი ბავშვები როდის უფრო მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას? (%)

გამოკითხვა ასევე აჩვენებს, რომ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებიდან გამომდინარე, ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის, მზრუნველის მხრიდან არასაკმარისი ყურადღების, ან სხვა სახის ეჭვის შემთხვევაში, დაწესებულებების მხოლოდ მცირე ნაწილს დასჭირვებია რომელიმე სამსახურის ჩართვა. დაწესებულებების მხოლოდ

2% აცხადებს, რომ დასჭირვებია სოციალური სამსახურის ჩარევა, ერთ პროცენტს კი დასჭირვებია პოლიციის ჩარევა. ასევე იშვიათ შემთხვევებში სახელდება მშობლების, ან მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის ჩარევის საჭიროება. დაწესებულებების თითქმის სრულ უმრავლესობას არ დასჭირვებია აღნიშნული საჭიროებების საპასუხოდ რომელიმე სამსახურის თუ დაწესებულების გამოძახება, 5 პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა (დიაგრამა 16).



დიაგრამა 16: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებიდან გამომდინარე (ძალადობის/არასათანადო მოპყრობის, მზრუნველის მხრიდან არასაკმარისი ყურადღების, ან სხვა სახის ეჭვის შემთხვევაში) დასჭირვებია თუ არა დაწესებულებას პოლიციის და/ან სოციალური სამსახურის, რომელიმე სხვა დაწესებულების გამოძახება? (%)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამოკითხვისას გამოვლინდა არაერთი საკითხი, რომელიც, დაწესებულებების წარმომადგენლების აზრით, აუცილებლად გასათვალისწინებელია სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მხარდასაჭერად. ყველაზე ხშირად (37%), დაწესებულებების წარმომადგენლები საუბრობენ ტრენინგების საჭიროებაზე აღმზრდელებისთვის სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე უკეთ საპასუხოდ. ასევე ხშირად სახელდება აღმზრდელებს შორის რეგულარული შეხვედრების საჭიროება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საკითხების განსახილველად (31%) და ფსიქოლოგის ინსტიტუტის დაარსება დაწესებულებაში და ფსიქოლოგის ინსტიტუტის საჭიროების გარშემო შესაბამის ინსტიტუტებთან კომუნიკაცია (26%). დაწესებულებების წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ ისეთი ბავშვების იდენტიფიცირების საჭიროებას, რომლებსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში (9%), და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პოლიციისა თუ სოციალური სერვისების სააგენტოს ჩართვას პრობლემების ესკალაციის შემთხვევაში (8%). აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებების მეხუთედზე მეტში (23%), წარმომადგენლებს უჭირთ განსაზღვრა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას დაწესებულებამ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე უკეთ საპასუხოდ (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17: თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას დაწესებულებამ მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მხარდასაჭერად? (%)



როგორც თვისებრივ კვლევაში მონაწილე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ისე მიგრანტი მშობლები, დაახლოებით იგივე საჭიროებებზე საუბრობენ.

თუმცა, ინტერვიუებისა თუ ფოკუს ჯგუფების პროცესში გამოიკვეთა არაერთი სხვა ყურადსაღები საკითხიც, რომლებიც ბავშვთა უფლებების მნიშვნელოვან დარღვევებზე მიანიშნებს, და რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულებებს უკავშირდება - პერსონალის არაკვალიფიციურობა და არაეთიკური ქცევა, სისტემური მიდგომებისა და გზამკვლევების, ფსიქოლოგის ინსტიტუტის არარსებობა, მანდატურის სამსახურისა და რეფერირების მექანიზმის არასათანადო ფუნქციონირება, მუნიციპალური სამსახურების არასათანადო მუშაობა და მათი მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებების მწირი მონიტორინგი, მიგრანტ მშობლებთან კომუნიკაციის გამოწვევები და სხვა.

7. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული გამოწვევები

პერსონალის დაბალი მგრძნობელობა და არაეთიკური ქცევა

კვლევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დასაქმებული პერსონალის მხრიდან ემიგრანტი მშობლების შვილებისადმი დაბალი მგრძნობელობა და არაეთიკური მოპყრობა, რაც ხშირად ბავშვთა უფლებების მნიშვნელოვან დარღვევებში ვლინდება.

ამ თვალსაზრისით, პერსონალის მიმართ ემიგრანტ მშობლებსა და თავად სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის აზრთა და გამოცდილებების სხვადასხვაობაა. ზოგიერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევებს, როდესაც დაწესებულებების პერსონალი არის

ძალიან ყურადღებიანი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიგრანტის შვილებს, მუდმივი კონტაქტი აქვთ მშობლებთან და ა.შ. მეორე მხრივ, არაერთი რესპონდენტი მათ შორის თავად დაწესებულებების წარმომადგენლები, იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც პერსონალთან ურთიერთობაში არაერთი ხარვეზი იჩენს თავს.
არამგრძნობიარე დამოკიდებულებები იკვეთება ბავშვების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საპასუხო ნაბიჯებშიც. ხშირად დაწესებულებების წარმომადგენლები ვერ აცნობიერებენ, რომ ბავშვის რთული ქცევა მშობლის ემიგრაციას უკავშირდება და შესაბამის ზომებს უნდა მიმართონ. ისინი ცდილობენ სრულად აირიდონ პასუხისმგებლობა და „გათავისუფლდნენ“ მსგავსი საზრუნავებისგან.

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს მეგობარი მიგრანტის 14 წლის შვილის ისტორიას. ბავშვი მამასთან იზრდება, მოიხმარს ალკოჰოლს და ახასიათებს რთული ქცევა. ვინაიდან ბავშვს მამა და აღმზრდელი ბებია-ბაბუა საკმარის ყურადღებას ვერ აქცევენ, მას სკოლაში „უპატრონოდ“ მიიჩნევენ და გარიცხვით ემუქრებიან, მაშინ, როდესაც ასეთ მოწყვლად მდგომარეობაში მის მხარდასაჭერად სკოლა უნდა რთავდეს შესაბამის ინსტიტუტებს.

დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან არაეთიკური ქცევის სხვა მაგალითებიც იკვეთება, რაც ასევე უკავშირდება მიგრაციის ფენომენის შესახებ დაბალ ცნობიერებას და მშობლის მიგრაციის პირობებში, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევების უგულებელყოფას. *ამ გამოწვევას საერთაშორისო გამოცდილებაშიც ვაწყდებით. ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, რომ რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიგრანტის შვილების მოწყვლადობას მასწავლებლები ხშირად ვერ აღიქვამენ და მათ პრივილეგირებულებად და განებივრებულებად მიიჩნევენ.*[28]
ეს ტენდენცია საქართველოშიც იკვეთება და მშობლების მხრიდან საკმაოდ პრობლემურად აღიქმება. მასწავლებლების/აღმზრდელების ნაწილი აცნობიერებს, რომ მშობლები ემიგრაციაში ოჯახების ეკონომიკური გადარჩენისთვის მიდიან და აღნიშნავს, რომ მშობლებს შვილების დატოვება არ უნდა უწევდეთ, ნაწილი კი განსჯის და ადანაშაულებს მათ შვილების დატოვების გამო. როგორც მშობლები და დირექტორები აღნიშნავენ, ეს დამოკიდებულება შემდეგ ბავშვთან და მშობელთან კომუნიკაციაზეც აისახება, და გარკვეულწილად, აგრესიაშიც გადაიზრდება.

„ჩემი აზრით ემიგრანტების შვილები დანარჩენ ბავშვებს უფრო ჩაგრავენ... იმიტომ, რომ მათ უფრო კარგი ცხოვრება აქვთ ვიდრე (პედაგოგის შვილს) ემიგრანტები ანებივრებენ ბავშვებს ჩვენი შვილები იჩაგრებიან იმიტომ, რომ ჩვენ ხელფასიდან ხელფასამდე ვარსებობთ, ბავშვებს ვერ ვუსრულებთ ნატვრას...“ **საჯარო საბავშვო ბაღის წარმომადგენელი, ქალი.**

[28] Badea (2020).

მსგავს დამოკიდებულებას მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევენ თავად დაწესებულებების წარმომადგენლებიც. ერთ-ერთი დირექტორი პრობლემურად მიიჩნევს მშობლების, განსაკუთრებით **დედების სტიგმატიზაციას, სტერეოტიპების დამკვიდრებას**, რომ როდესაც რაიმე პრობლემა იჩენს თავს, მასწავლებლები მაშინვე მიგრანტი მშობლებისკენ „იშვერენ თითს“, ვერ იაზრებენ საკითხის სენსიტიურობას, ცდილობენ ყველაფერი მათ არყოფნასა და უყურადღებობას დააბრალონ. დირექტორის შეფასებით, როდესაც ბავშვის წინაშე დგება რაიმე გამოწვევა, ეს *„სკოლის ბრალიც არის, მასწავლებლებისაც და იმ საზოგადოებისაც, რომელშიც იზრდება ბავშვი“.*

> *„როდესაც მასწავლებელი მიხვდება, რომ ცოტა მეტი აქვს საშრომი და აღარ უნდა მეტი შრომა, იმწუთას აბრალებს, რომ ეს არის მოსწავლის მშობლის ბრალი, რომელიც არის ემიგრაციაში. ბოლო მახსენდება ასეთი შემთხვევა, რომ მასწავლებელი მეუბნებოდა, რომ ამის დედას უნდა, რომ ფულიც იშოვოს და ბავშვიც ჩვენ აღვზარდოთ, ეგრე სად არის, ის აქ უნდა იყოს და უყურებდეს თავის შვილს. ვუსმინე ვუსმინე და ავუხსენი, რომ ძალიან არასწორი პოზიცია ჰქონდა, რომ მას უფრო მეტად არ უნდა, რომ ის იყოს თავის შვილთან, ვიდრე მას, ხომ? ვერ დავიჯერებ მაგას, არ არსებობს მაგის საზომი, მაგრამ მშობელზე მეტად მასწავლებელს უნდოდეს, არ მჯერა ამის“*, **საჯარო სკოლის დირექტორი, კაცი.**

ძალადობის შემთხვევებისა და ბავშვის უფლებების დარღვევის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს მათ ვალდებულებებს როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობისას და განსაზღვრავს ქცევის წესებს - ავალდებულებს მათ დაიცვან კონფიდენციალურობა, აღსაზრდელებს/მოსწავლეებს არ მიაყენონ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, არ მოახდინოს მათზე ემოციური ზეწოლა და ა.შ., მსგავსი შეფასებები, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მიუთითებს ერთიანი სტანდარტის, ეთიკის კოდექსის დაცვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არარსებობაზე და სისტემურ ხარვეზებზე. მშობლები მიიჩნევენ, რომ სკოლებში ირღვევა ზოგადად ბავშვების, და არა მხოლოდ ემიგრანტების შვილების უფლებები - **„კატასტროფული მდგომარეობაა“.** მასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ ჯანსაღ გარემოს სკოლაში.

- ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ბავშვთა უფლებების დარღვევის ისეთ უკიდურეს შემთხვევებს, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. პერსონალის მხრიდან ადგილი აქვს არაეთიკურ მოპყრობას და კომუნიკაციას: მშობელს მოთხოვნაზე, რომ მათი შვილების ბულინგის და ფიზიკური ძალადობის მიმართ იყოს მეტი რეაგირება ერთ-ერთმა მასწავლებელმა განუცხადა, რომ ძიძა აეყვანა შვილებისთვის, რადგან ის მათ **„დევნას ვერ დაუწყებდა“;**
- მშობელს, რომელსაც სურდა ფსიქოლოგს ემუშავა მისი შვილების თანაკლასელებთან აგრესიის მართვაზე, რადგან ფიზიკური ძალადობას, მუქარას და ბულინგს ჰქონდა ადგილი, მასწავლებელმა განუცხადა, რომ საკუთარი შვილები უნდა ეტარებინა ფსიქოლოგთან;

- მშობლის ემიგრაციის შემდეგ ბავშვებში მეტყველების დარღვევის შემთხვევის გამოვლენის შემდეგ ბაღმა დანიშნა ლოგოპედი, რომელიც ბავშვებთან არ მუშაობდა მისი პასუხისმგებლობების შესაბამისად, და როდესაც მშობელმა მოსთხოვა შესაბამისი სამუშაოს ჩატარება, „განაწყენებულმა“ ლოგოპედმა „იჭორავა“ როგორც ბავშვებზე, ისე მათი ოჯახის წევრებზე;
- ერთ-ერთ შემთხვევაში, ბავშვები საუბრობდნენ ბაღში აღმზრდელების მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე, თუმცა, როდესაც მშობელმა ამ საკითხთან დაკავშირებით ბაღს მიმართა, აღმზრდელებმა გამოავლინეს უაღრესად არაეთიკური დამოკიდებულება და ბავშვებს უწოდეს „მატყუარები და ავადმყოფები“ - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემები აქვთ და სკოლის წარმომადგენლებმა იციან ამის შესახებ; მშობლის მიგრაციის შემდეგ, ბავშვს აგრესიული ქცევის გამო უწოდეს „გიჟი“ - *„ერთხელ იჩხუბეო მომიყვა [ბებომ] და დირექტორთან დამიბარესო. დირექტორმა მითხრა გიჟიაო, სულ ჩხუბობსო და ფსიქოლოგთან მიიყვანეო. ფსიქოლოგთან რომ მიგიყვანე გაგიჟდა, იქით ისინი არიან მისაყვანებიო. არაფერი არ სჭირს ბავშვსო“ (სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, ბიჭი, 15 წლის).*
- დაწესებულებების წარმომადგენლები ცდილობენ მშობელს დააკისრონ სრული პასუხისმგებლობა შვილის ქცევის გამო, „ანამუსებენ“, რომ ისინი შვილების გვერდით არ არიან და ვერ ხედავენ მათ „ცელქობას“ თუ „ტყუილებს“.
- ერთ-ერთი მშობელი იხსენებს, რომ ბავშვები ბულინგის მსხვერპლნი გახდნენ მასწავლებლების მხრიდან - ერთ-ერთმა მასწავლებელმა ბავშვს მიმართა სიტყვებით „შენ რისი მსწავლელ ხარ“, მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებული იყო ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის - ეპილეფსიის შესახებ.

„ავადმყოფები არიანო, მასწავლებელმა ასე მითხრა, ავადმყოფები არიან შენი შვილები, ტყუილად კი არ დაუნიშნესო ეს სპეციალური მასწავლებელი [ლოგოპედი] - ინკლუზიური განათლების პროგრამიდან ყოფილა - ესე იგი სჭირდებათო... წავედი გამგეობაში და იქ კიდე მითხრეს აბა რა გიყოთო, გამოცვალეთ ბაღიო, ანუ არანაირი რეაგირება ასეთი მასწავლებლის მიმართ... ბოლოს გადავიყვანე სხვა ბაღში და იქ სიხარულით მირბოდნენ ისეთი კარგი მასწავლებელი იყო... რომც მივიდე განათლების სამინისტრომდე, რამე საბუთი არ მაქვს, იმიტომ, რომ ბაღში [არ არის] კამერები, ბაღშიც აუცილებელია კამერები...“ **მიგრანტი მშობელი, ქალი, ორი შვილის დედა.**

არაეთიკური ქცევისა და ბავშვთა უფლებების დარღვევების შემთხვევებთან ერთად, როგორც მშობლების, ისე დაწესებულებების წარმომადგენლების გამოცდილებით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების **პერსონალის არაკომპეტენტურობა და ცნობიერების დაბალი დონე სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების გარშემო.** აღინიშნა ისიც, რომ პერსონალი ხშირად ვერ პასუხობს მოთხოვნებსა და საჭიროებებს, იმ გამოწვევებს, რაც წარმოიშობა დაწესებულებაში, არ არის საკმარისად კვალიფიციური. მშობლები მიიჩნევენ,

რომ ბავშვებს, ძირითადად, ფსიქიკა უყალიბდებათ დაწესებულებასა და სახლში, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მასწავლებლებს ჰქონდეთ სწორი მიდგომები განმავითარებელ/საგანმანათლებლო პროცესში.

კომპეტენციების დეფიციტი

მშობლებისა და ბავშვების შეფასებით, მაშინაც კი, როდესაც ინსტიტუტების წარმომადგენლები მგრძნობიარენი არიან სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ და ცდილობენ მათთვის სასარგებლო გააკეთონ, მაგალითად, გაესაუბრონ ბავშვებს მათ მდგომარეობაზე, ემიგრაციაში მყოფი მშობლის ჩანაწერი გაუშვან ზეიმზე, და ა.შ., ხშირად ბავშვებზე ეს მცდელობები უარყოფითად მოქმედებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პერსონალის გადამზადება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებისა და მათზე საპასუხო ქმედებების სწორად განსაზღვრისა და შესაბამისი მიდგომების დანერგვისთვის.

> *„მასწავლებლების მხრიდან დედის წასვლაზე საუბარი იყო უფრო, არა უშავს... იგივე სიტყვები, რასაც ყველა გეუბნება და ამაზე ვამბობდი, რომ ძალიან მაღიზიანებდა. არა უშავს, ხო იცი... ჩამოვა მალე... ნახავ.... ასეთი საუბრები იყო და მაღიზიანებდა. არ მინდოდა ეგ საუბრები. მართლა არ მეხმარებოდა. უფრო მეტად ცუდად მაგრძნობინებდა თავს. სიბრალულის გრძნობა არ უნდა ჰქონდეს ვიღაცას, ვინც გესაუბრება. სხვანაირი მეთოდებით უნდა გესაუბროს. ეს სიბრალული აგრესიას იწვევს შენში: რატომ ვებრალები... ეგ ძალიან ცუდი ემოციაა ჩემთვის, ვიღაცას რომ ეცოდები. საერთოდ არ მჭირდებოდა. უფრო მეტად მაწვებოდა. თან ვცდილობდი არ მეტირა, არ გამომეხატა ეს ემოცია, რომ უფრო მეტად არ შევცოდებოდი“,* **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებთან ურთიერთობის პროფესიულ სირთულეებს. მათი თქმით, განსაკუთრებით რთულია მცირე ასაკის ბავშვებისთვის შენიშვნის თუ რჩევა-დარიგების მიცემა, რადგან ისინი კრიტიკას განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამენ. მასწავლებლებს და აღმზრდელებს არ აქვთ კონკრეტული ცოდნა ან სტრატეგია, რომელიც ამგვარ სიტუაციებში მათ მიმართულებას მისცემდა. *შესაბამისად, ისინი ხშირად მოქმედებენ ინტუიციურად და უჭირთ ბალანსის დაცვა სითბოსა და სიმკაცრეს შორის - შიშობენ, რომ ზედმეტმა მზრუნველობითმა მიდგომამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის ქცევაზე.* თავად სამშობლოში დარჩენილ ბავშვებთან ინტერვიუებიც აჩვენებს, რომ მასწავლებლები ხშირად ითვალისწინებენ ბავშვის გარემო პირობებს და გარკვეულ გამონაკლისებს თუ შეღავათებს სთავაზობენ მათ (მაგ. გაცდენებთან და გაკვეთილების არასათანადო მომზადებასთან დაკავშირებით. ამასთან, ისინი ხედავენ ბავშვების წინაშე არსებულ გამოწვევებს და ერთი მხრივ, პოზიტიური განწყობით ცდილობენ ბავშვების დამშვიდებას („ყველაფერი კარგად იქნება“), მეორე მხრივ კი, ისინი ამ გამოწვევებს ავტომატურად უკავშირებენ დედის ოჯახში არყოფნას. *მასწავლებლების ეს მზრუნველობითი დამოკიდებულება, რომელიც ძირითადად თანაგრძნობასა და სიბრალულზეა დაფუძნებული, ხშირად დისკომფორტს იწვევს ბავშვებს შორის.*

სისტემური პრობლემების საპასუხო გზები: პერსონალის გადამზადების აუცილებლობა

- **მუდმივი გადამზადების მოთხოვნა**

რესპონდენტთა აზრით, არსებული გამოწვევების დასაძლევად გადამზადება უნდა გახდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული განვითარების განუყოფელი ნაწილი. მათი შეფასებით, აუცილებელია ცოდნისა და უნარების განახლება, რადგან ბავშვებთან მუშაობის კონტექსტი მუდმივად იცვლება და ჩნდება ახალი მიდგომები.

- **თეორია და პრაქტიკა**

მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ გადამზადება უნდა ეფუძნებოდეს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე მის პრაქტიკულ განხორციელებას. მათი შეფასებით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მიღებული ცოდნისა და უნარების რეალურ პრაქტიკაში გამოყენებაა.

- **მონიტორინგისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები**

გადამზადების პროცესს თან უნდა ახლდეს ხარისხზე ორიენტირებული მონიტორინგი. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ პასუხისმგებელი პირი არ განისაზღვრა, მუდმივი მონიტორინგი ვერ ხორციელდება და საბოლოოდ გადამზადების ეფექტი იკარგება — თუნდაც ის ხშირად და მაღალი ხარისხით ტარდებოდეს.

- **ფსიქოლოგიური და ინკლუზიური განათლების ელემენტები**

გადამზადების პროგრამებში, რესპონდენტების აზრით, აუცილებელია ინტეგრირებული იყოს ფსიქოლოგიური და ინკლუზიური განათლების ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადამზადება ვერ ჩაანაცვლებს ფსიქოლოგის ან სპეციალური პედაგოგის ჩართულობას, დაწესებულების ყველა თანამშრომელმა უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ამ საკითხებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების დიდი ნაწილი **სისტემური მიდგომების არარსებობას** უკავშირდება. საგანმანათლებლო დაწესებულებები ან ვერ პასუხობენ სათანადოდ სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებს, ან მათი მცდელობები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია და ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს უფრო ეფუძნება, ვიდრე დაწესებულების პოლიტიკას თუ სტანდარტებს. წინამდებარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სისტემური და სტრუქტურული მიდგომების არარსებობის პირობებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა რეაქციაც და მიდგომებიც პიროვნულ პასუხისმგებლობებსა თუ მცდელობებზე დადის, ერთსა და იმავე გამოწვევაზე საპასუხო რეაქცია შესაძლოა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა იყოს, და შესაბამისად, ზოგჯერ გაამართლოს, ზოგჯერ არა. დაწესებულებების წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ლექსიკას „სწორი კომუნიკაცია“, „სწორი მიდგომა“, თუმცა, როდესაც არ არსებობს რეგულაციები და პრობლემური შემთხვევების მართვის კოდექსი თუ გზამკვლევი, რთული განსასაზღვრია, რამდენად სათანადო ნაბიჯებს დგამს დაწესებულება, რამდენად ახერხებს პრობლემის სწორად იდენტიფიცირებას, და ა.შ. კვლევაში მონაწილე დირექტორებიც ადასტურებენ, რომ გზამკვლევების არსებობა დაეხმარება სკოლას

მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირებისთვის.

> *„ბაღებისთვის და სკოლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რაიმე გზამკვლევი არსებობდეს, რომ როდესაც მე ვიღებ ამ ტიპის ტრავმის მქონე ბავშვს - ტრავმაა ხომ ეს ერთგვარი - მე, როგორც ბაღი, როგორ ვიქცევი. ის რომ მაგალითად ჩვენ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და სოციალურ მუშაკთან არ გვქონია ამ ტიპის კომუნიკაცია, მგონი ესეც უკვე ჩვენი ტრაგედიაა, იმიტომ, რომ რეალურად მთელი ეს საათნახევარი ვსაუბრობთ საჭიროებებზე, რომლის წინაშეც რეალურად ვდგავართ და მართლა რომ შიშველი ხელებით ვცდილობთ რაღაც გავაკეთოთ და ცდის და შეცდომის მეთოდით ამართლებს თუ არ ამართლებს ვთამაშობთ ბავშვის ემოციებით. მე მგონია, რომ რაიმე სისტემა უნდა არსებობდეს, ისევე როგორც არსებობს მაგალითად ომიდან ჩამოსული ბავშვების მიღების შემთხვევაში გვაქვს ინსტრუქცია, როგორ იქცევა დაწესებულება. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ სამივე მხარისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ვიცოდეთ, რა ტიპის კომუნიკაცია უნდა დავამყაროთ, რისი უფლება გვაქვს ამ ბავშვებთან მიმართებით, და რა შესაძლებლობები არსებობს, რა უნდა მოვითხოვოთ“,* **სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ფსიქოლოგი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და განვითარების სპეციალისტი, ქალი**

მშობლის ჩართვის დილემა

პირველი, და ძირითადი მექანიზმი, როდესაც სამშობლოში დარჩენილი ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებაში რაიმე გამოწვევის წინაშე დგებიან, არის ბავშვის მიგრანტი მშობლის და/ან სამშობლოში დარჩენილი აღმზრდელის ჩართვა საკითხის განხილვაში. **ამ პროცესშიც, დაწესებულებებს არ აქვთ კომუნიკაციის ერთგვაროვანი სტრატეგია და გამოწვევასთან გამკლავების გზებიც განსხვავებულია.** ზოგიერთ დაწესებულებას პრაქტიკაში დანერგილი აქვს „მშობლის საათი“, რომლის განმავლობაში მშობლებს საშუალება აქვთ გაესაუბრონ დაწესებულების წარმომადგენლებს, ან მშობელთა კლუბები, რომლის ფარგლებშიც მშობლებს ასწავლიან სასარგებლო ტექნიკებს, თუ როგორ უნდა მიუდგნენ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციაში, როგორი რეაგირება იქონიონ და ა.შ. ზოგიერთი დაწესებულების წარმომადგენელი იმასაც აღნიშნავს, რომ დაუგეგმავს ტრენინგები მშობლებისთვის განმავითარებელ/საგანმანათლებლო პროცესში უკეთ გათვითცნობიერებისთვის, თუმცა, მათი მხრიდან ჩართულობის ინტერესი დაბალია. ამავე მისნით, ზოგიერთ დაწესებულებაში იყენებენ მშობლის წიგნსაც, თუმცა მშობლების მხრიდან უკუკავშირი ამ შემთხვევაშიც ძალიან დაბალია.

ფსიქოლოგის ინსტიტუტის დაბალი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებაში არსებული უარყოფითი განწყობები ფსიქოლოგის ინსტიტუტის მიმართ

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად სახელდება **ფსიქოლოგის ინსტიტუტის დაბალი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებაში არსებული უარყოფითი განწყობები ფსიქოლოგის ინსტიტუტის მიმართ.** ფსიქოლოგის მომსახურების საჭიროებაზე ბაღში/სკოლაში საუბრობენ როგორც წარმომადგენლები, დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები,

ისე მშობლები. მათი შეფასებით, ფსიქოლოგის ჩართულობა აუცილებელია, რათა დაწესებულებამ ბავშვებს აღმოუჩინოს დროული დახმარება და შეძლოს იმ ემოციური თუ ქცევითი სირთულეების თავიდან არიდება ან სწორად მართვა, რომლებიც ვლინდება ბავშვებში მშობლის ემიგრაციის შედეგად.

ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ფსიქოლოგი **სრულად რეგიონის მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი** და საჭიროების შემთხვევაში, მანდატურის სამსახური მათ სხვა რეგიონში ამისამართებს. ერთ-ერთი დირექტორი აცხადებს, რომ ფსიქოლოგის არარსებობის პირობებში, გაიცემა რეკომენდაცია მიმართონ სოციალურ მუშაკს, თუმცა ეს უკანასკნელი ფსიქოლოგის ფუნქციას ვერ შეითავსებს.

კადრების სიმწირის საკითხს ემატება **კვალიფიციური კადრების სიმწირის საკითხიც.** რესპონდენტების გამოცდილებით, ხშირად ხელმისაწვდომი კადრები არ არიან საკმარისად კვალიფიციურები, რასაც დაბალი ანაზღაურება და მანკიერი საკადრო პოლიტიკაც უწყობს ხელს - **არის შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგებად ინიშნებიან პირები, რომლებიც გადიან რამდენიმე თვიან გადამზადებას და არ აქვთ ფსიქოლოგის განათლება და პრაქტიკა.** კვალიფიციური კადრების სიმწირე აისახება მშობლების მხრიდან ფსიქოლოგის ინსტიტუტის მიმართ ნდობის ნაკლებობაზე.

> *„[ბაღების] გაერთიანებას ერთი ფსიქოლოგი ჰყავს და ერთი ფსიქოლოგი სამოც ბაღს ვერ ეყოფა ფიზიკურად. ეს წარმოუდგენელი ამბავია ხომ, რომ მე ერთმა ფსიქოლოგმა სამოც ბაღში ვირბინო და კი, რაღაცას გავაკეთებ, მოვახერხებ, რომ ვიღაცას მოვუსმინო, მაგრამ ეს ხარისხიანი არ იქნება, ის მხარდაჭერა არ იქნება, რასაც ეს კონკრეტული ჯგუფი ჩვენგან ელის“,* **სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ფსიქოლოგი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და განვითარების სპეციალისტი, ქალი.**

ფსიქოლოგთან კონსულტაციის აუცილებლობაზე მიანიშნებს ემიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ისტორიებიც. ერთ-ერთი ბავშვი ჰყვება, თუ როგორ დაეხმარა მამასთან ხშირი საუბრები და მისი რჩევები ემოციების მართვასთან დაკავშირებით, დედის ემიგრაციით გამოწვეულ ტკივილთან გამკლავებაში.

> *„[მამა] სულ მეუბნებოდა: არ დააგროვო ემოცია, პირიქით უნდა გამოიტანო. მერე შეიძლება სხვა რამეში გადაიზარდოს, მაგალითად აგრესიაში. უფრო მეტი ცუდი ენერგია გამოასხივო. იტირე თუ გინდა, ეგ ტირილი გშველის და არ შეიკავო თავი. მასწავლა ამ ემოციების მართვა და საუბარი. დამაფიქრა ყველაფერზე. და ეს საუბარი არ იყო გამაღიზიანებელი. პირიქით, უფრო და უფრო მეტად მინდოდა რომ გვესაუბრა და მეტი მეთქვა ამ ყველაფრის შესახებ მამაჩემთან... იმ პერიოდში ძალიან დამეხმარა ეს საუბრები“*
> **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის.**

ოჯახის წევრებსა თუ გარშემომყოფებს შორის მსგავსი მხარდაჭერის არარსებობის შემთხვევაში, ფსიქოლოგისგან პროფესიული რჩევები ბავშვებისთვის უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შესაძლოა არაპროფესიონალის რჩევამ,

დადებითი განზრახვით გაცემულმაც კი, ზიანი მიაყენოს ემოციურად ისედაც მოწყვლად ბავშვებს. თავად ბავშვებიც აღნიშნავენ, რომ ყველას არ აქვს ოჯახში მსგავსი მხარდაჭერა და, ასეთ დროს, ფსიქოლოგის ჩარევა მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი ბავშვი ჰყვება, რომ დედას ესაუბრება თავის დეპრესიულ მდგომარეობაზე, მაგრამ მშობელი დისტანციურად სიტყვიერი მხარდაჭერის გარდა ვერაფერს ახერხებს - ***„ფსიქოლოგიური მომენტები მაქვს მძიმე და მხარდაჭერა მჭირდება. ამას დედა ისედაც აკეთებს და მეტს ვერაფერს მოვთხოვ“ (სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის).*** მსგავსი ისტორიები შეიძლება მიანიშნებდეს იმაზეც, რომ ხშირად მშობელი შეიძლება ვერ ხედავდეს ბავშვის მხარდაჭერის საჭიროებას და ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება პრობლემის იდენტიფიცირების და აღმოფხვრის კუთხით.

> *„ვისურვებდი ფსიქოლოგთან კონტაქტს. სავალდებულოც კია რომ ასეთი პერიოდის გასანეიტრალებლად, ბევრს არ აქვს ეგეთი თვისება, ვისაც საუბრით ადამიანის დამშვიდება შეუძლია. ვერ უკეთებს მის აზრს სწორ ფორმულირებას, როგორც ჩემს შემთხვევაში მასწავლებლები და სხვა გარემო პირები მაწვდიდნენ ისე, თითქოს ცოდო ვიყავი. ძაან რთული იყო საცოდაობის განცდა რომ ჰქონდათ... ყველა ბავშვის ცხოვრებაში, ნებისმიერ ასაკში ასეთი რამ რომ ხდება ბავშვი რთულად იღებს, ამიტომ ვისურვებდი, რომ ფსიქოლოგთან აუცილებლად იყოს ვიზიტი მშობლების მხრიდან. ფსიქოლოგი სწორ გზას და მიმართულებას მისცემს მის ემოციებს. მის ემოციურ მდგომარეობას უფრო გაიგებს ვიდრე სხვა“* **(სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 16 წლის).**

ფსიქოლოგის ინსტიტუტის გარშემო არსებული გამოწვევები, რესპონდენტების აზრით, არ უკავშირდება მხოლოდ რესურსების ნაკლებობას. *რესპონდენტების გამოცდილებით, ეს საკითხი ჯერ კიდევ ტაბუდადებულია ქართულ საზოგადოებაში და ამ მიმართულებით გამოწვევები იჩენს თავს როგორც დაწესებულებთან, ისე მიგრანტ მშობლებთან კომუნიკაციის დროს.* დაწესებულების წარმომადგენლების გამოცდილებით, მშობლები და აღმზრდელები ხშირად ეწინააღმდეგებიან ფსიქოლოგის ჩართვას, რადგან არ ესმით ამის საჭიროება. ზოგიერთი აღმზრდელი წინააღმდეგია, რადგან მიაჩნია, რომ მან უკეთ იცის რა სჭირდება მის აღსაზრდელს და/ან, რომ არ მოსწონს დღევანდელი ფსიქოლოგების მიდგომები.

> *„რა სჭირს ჩემს შვილს ისეთი, რომ ფსიქოლოგს რთავთ“, „ჩემი ბავშვი განა გიჟია, რომ ფსიქოლოგს რთავთ“.*

მანდატურის სამსახურის როლის შესახებ

კვლევის პროცესში გამოიკვეთა **მანდატურის სამსახურის** მნიშვნელოვანი როლი და ამ სამსახურის მუშაობაში არსებული ხარვეზები. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები საუბრობენ არაერთ შემთხვევაზე, როდესაც მანდატურის სამსახურმა ეფექტიანად იმუშავა - გადაამისამართა ბავშვი შესაბამის სამსახურთან, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში კი სამსახურის მისამართით

ჟღერდება მძიმე კრიტიკა. ზოგიერთი მშობელი აცხადებს, რომ მანდატურის სამსახური არ მუშაობს სათანადოდ.

! მშობლები იხსენებენ ბავშვების მიმართ ბულინგსა და ფიზიკურ ძალადობას, სიცოცხლის ხელყოფის მუქარასაც კი, რაზეც სკოლას რეაგირება არ ჰქონია.

ძალადობის შემთხვევაზე რეფერირების მექანიზმის შესახებ

კვლევის მონაწილეებმა – როგორც მიგრანტმა მშობლებმა, ისე დაწესებულებების წარმომადგენლებმა – აღნიშნეს, რომ რეფერირების მექანიზმი სხვა პრაქტიკებთან შედარებით მეტ სტანდარტიზაციას ექვემდებარება. თუმცა, მათი გამოცდილებები განსხვავებულია და ყველა თანხმდება, რომ მექანიზმი საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

პასუხისმგებელი პირები და გადამზადების პრობლემები

ყველა ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით არის დანიშნული (ზოგჯერ მეთოდისტი, ზოგჯერ აღმზრდელი). ისინი გადიან სპეციალიზებულ ტრენინგებს, თუმცა:

- ხშირად მათ არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია;
- პრაქტიკაში მათი საქმიანობა არ არის ეფექტიანი;
- არ ხორციელდება სისტემური მონიტორინგი და მხარდაჭერა.

დაბალი გამოყენების მაჩვენებელი

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ მხოლოდ **3% ბაღებმა** მიმართეს სხვა დაწესებულებებს რეფერირების მექანიზმის მეშვეობით. კვლევა ვერ ადასტურებს, უკავშირდება ეს რეალური საჭიროების არარსებობას, თუ პერსონალის არაკომპეტენტურობას საჭიროებების იდენტიფიცირებაში.

მშობლების გამოცდილება და მექანიზმის ხარვეზები

მშობლების ნაწილი ფიქრობს, რომ სკოლები/ბაღები:

- არ იყენებენ რეფერირების მექანიზმს სათანადოდ;
- არ აწვდიან მშობლებს საჭირო ინფორმაციას მათი შვილის უფლებებისა და არსებული გზების შესახებ;
- ზოგჯერ არღვევენ კონფიდენციალურობას და საკითხს არაეთიკურად მიუდგებიან.

ერთ-ერთი მშობელი იხსენებს, რომ მათი შვილების ემოციური მდგომარეობიდან, და მათ მიმართ დაწესებულებაში არსებული ბულინგისა და ძალადობის ნიშნების აღმოჩენის შემდეგ, არათუ სკოლას არ ჰქონია შესაბამისი რეაგირება, არამედ როდესაც მან თავად მოითხოვა ფსიქოლოგისა და პოლიციის *ჩართვა, დაწესებულების მხრიდან პასუხი იყო ცინიკური დამოკიდებულება და ჭორაობა - სენსიტიური და კონფიდენციალური ინფორმაციის დაწესებულების ფარგლებს გარეთ გაჟღერება, რის შედეგადაც, როგორც მშობელი აცხადებს, „მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სახელი გაუტყდა“.*

რეფერირების მექანიზმის მუშაობის ხარვეზებთან ერთად, მსგავსი შემთხვევები კიდევ ერთხელ მიუთითებს დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან ეთიკის ნორმების მნიშვნელოვან დარღვევებზე. მშობლის შეფასებით, მის მიერ გამოძახებული სამსახურების რეაგირებაც არ იყო შესაბამისი - პოლიციამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მიმართეს შესაბამის ღონისძიებებს, რაც შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ რეფერირების მექანიზმთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუტებსაც არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და/ან ნება დარღვევების სათანადოდ შესასწავლად და აღმოსაფხვრელად.

8. მუნიციპალურ დონეზე არსებული გამოწვევები

რესპონდენტების შეფასებით, არ მუშაობს არც **ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები**, რადგან ბაღში არაეთიკურ ქცევაზე და ბავშვების უფლებების დარღვევაზე, ისეთ მძიმე შემთხვევაშიც კი, როგორიც არის ფიზიკური ძალადობის ბრალდება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეაგირება არ იქონია.
როგორც მშობლები, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების უკეთ საპასუხოდ, მაგალითად, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის დონეზე, რომელიც აწარმოებს შესაბამის სტატისტიკას, განსაზღვრავს ამ ჯგუფის საჭიროებებს და შესაბამის სერვისებს შესთავაზებს.

„ვინაიდან თითოეული მუნიციპალიტეტი თავად განსაზღვრავს რა ტიპის სერვისი შესთავაზოს სკოლამდელი აღზრდის ფარგლებში, ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტმა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სწორად უნდა განსაზღვროს რისი შეთავაზების შესაძლებლობა აქვს, რა რესურსები აქვს, და რა რესურსის დროებით შესყიდვა შეუძლია... შესაბამისად, რაღაც მულტი [ფუნქციური] ჯგუფივით უნდა შეიქმნას, მულტი [ფუნქციური] გუნდივით, რომელიც ამ კონკრეტულ მოწყვლად ოჯახებზე იმუშავებენ და მათი გაძლიერების კუთხით ექნებათ კონკრეტული აქცენტები“, **(სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ფსიქოლოგი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და განვითარების სპეციალისტი, ქალი**

კომტენციების ამაღლების საჭიროება მუნიციპალური მოხელეებისთვის

ამასთან, რესპონდენტების აზრით, აუცილებელია მუნიციპალიტეტის დონეზე შეიქმნას სპეციალიზებული ტრენინგ მოდულები, რომლებიც მიმართული იქნება მიგრანტი მშობლების, სამშობლოში დარჩენილი ბავშვის მზრუნველების, ოჯახებისა და ნათესავების მხარდაჭერისა და ინფორმირებისაკენ. ამ ტრენინგების მიზანი უნდა იყოს როგორც მათი მხარდაჭერა, ისე ცნობიერების ამაღლება, თუ რა სახის სერვისები არსებობს, როგორ უნდა მოითხოვონ დახმარება, და ა.შ. თუმცა დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მშობლების ჩართულობას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

თანამშრომლობა და კოორდინაცია მუნიციპალიტეტის დონეზე

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება მუნიციპალიტეტების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს სოციალური სამსახური, ბავშვთა უფლებათა დაცვის მიმართულებით მომუშავე სტრუქტურები და სხვა ადგილობრივი რგოლები, ისინი როგორც წესი დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და არ არსებობს **ერთიანი და თანმიმდევრული მიდგო**მა, და ინფორმაციის გაცვლის თუ გამოთხოვის პრაქტიკა სხვა რელევანტური დაწესებულებებიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებული მუნიციპალური პროგრამები მხოლოდ ეკონომიკურად მოწყვლად ბავშვებს და ოჯახებს ხედავს. შესაბამისად, იმ მოცემულობაში, როდესაც მიგრანტი მშობლების შვილები ფინანსურ მხარდაჭერას ნაკლებად საჭიროებენ, ისინი ყურადღების მიღმა რჩებიან. ამის გათვალისწინებით, მიგრანტი მშობლების თქმით, საჭიროა მუნიციპალიტეტის დონეზე შეიქმნას ისეთი ახალგაზრდული სერვისები, რომლებიც ემსახურება უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას კულტურულ, სპორტულ ან შემოქმედებით აქტივობებში და ხელს უწყობს მათ ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას. მსგავსი სერვისების არარსებობის პირობებში, ბავშვები და მშობლები საკუთარი რესურსებით ებრძვიან განცალკევებისა და გარიყულობის გამოცდილებას, რაც მათი განვითარების პროცესზე პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს.

9. სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ოჯახებში არსებული გამოწვევები

დაწესებულებების წარმომადგენლები საუბრობენ **მშობლებთან კომუნიკაციის, მათი ცნობიერების ამაღლების** მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მიგრანტ მშობლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციას, ხშირ შემთხვევაში, რეგულარული ხასიათი აქვს, მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში არაერთი გამოწვევა იჩენს თავს.

როდესაც მშობელსა და დაწესებულების წარმომადგენელს შორის ჩნდება უთანხმოება ბავშვის საჭიროებების თაობაზე, მასწავლებლები ერიდებიან მშობელთან კომუნიკაციას და შესაძლოა ბავშვის საჭიროებების გამოკვეთის შემთხვევაშიც, აღარც მიმართონ მშობელს მათი მხრიდან უკურეაქციის შიშით.

შესაბამისად, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები აუცილებლად მიიჩნევენ მეტ კომუნიკაციას მშობლებთან, მათთვის ცნობიერების ამაღლებას. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების მხრიდან ტრენინგების სახით, რომ მათაც გაიარონ დაახლოებით იგივე საკითხები, რომლებსაც გადიან ბაღის წარმომადგენლები გადამზადებისას, შეიძლება იყოს შეხვედრების სახით ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან, რომ გაიზარდოს მათი მიმღებლობა იმ გამოწვევების მიმართ, რომელთა წინაშეც დგანან ბავშვები და აღმზრდელები განმავითარებელ/საგანმანათლებლო პროცესში,

ვინაიდან მათ უჭირთ გაგება, თუ რა გამოწვევების წინაშე არიან მათი შვილები და რა სახის ჩარევა არის საჭირო მათი მხრიდან.

ბავშვების საჭიროებებზე ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, დაწესებულებების გამოცდილებით, მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოება მშობლებთან ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტიდანვე, რაც უნდა მოიცავდეს კომუნიკაციას მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ დაწესებულებასთან მიმართებით გადასადგამი ნაბიჯების შესახებ - სკოლის გაფრთხილება, მეურვეობის იურიდიულად გაფორმება, და ა.შ. შესაძლოა მშობლის ხელშეკრულებაშიც იდოს შესაბამის პუნქტები, თუ რა რეგულაციები არსებობს, მათ რა პასუხისმგებლობები ეკისრებათ და ა.შ. მშობლები/ბავშვების აღმზრდელები აცხადებენ, რომ არ უნდათ ზედმეტი მოთხოვნები წაუყენონ ბავშვებს, რადგან ისინი ისედაც „დაჩაგრულები“ არიან და არ უნდათ დამატებითი ტკივილი მიაყენონ. ბაღების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ტრენინგები როგორც მეურვეების, ისე მშობლებისთვის, რომ ისინი აღზრდისა და ბავშვების მოწყვლადი მდგომარეობის მართვის ეფექტურ და სწორ მექანიზმებს გაეცნონ.

დასკვნა

მხოლოდ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლებში ბავშვების 4 პროცენტის ერთი ან ორივე მშობელი იმყოფებოდა შრომით ემიგრაციაში, თუმცა,
ბაღების მონაცემებით, დედის ემიგრაციას (შემთხვევების 17%) საგრძნობლად აჭარბებს მამის ემიგრაციის შემთხვევები (71%), თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დედები მცირეწლოვან შვილებს შედარებით უფრო იშვიათად ტოვებენ და მათი ემიგრაცია უფრო მაღალია, როდესაც ბავშვები სასკოლო ასაკს აღწევენ, დედის ემიგრაციის შემთხვევებიც, სავარაუდოდ, ამ მაჩვენებელზე ბევრად უფრო მაღალია.

კვლევა აჩვენებს, რომ მშობლის ემიგრაცია სამშობლოში დარჩენილი ბავშვებისთვის მნიშვნელოვან ფსიქო-ემოციურ სირთულეებს უკავშირდება, რომლებიც გადაიზრდება არაერთ გამოწვევაში, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო პროცესში. ემიგრაციის გავლენა ბავშვებზე იწყება მშობლის მიერ ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპიდანვე. ბავშვებს უჩნდებათ მიტოვებულობის გაუცნობიერებელი, ძლიერი განცდა, რაც განსაკუთრებით მძაფრდება მაშინ, როდესაც მშობელი გაფრთხილების გარეშე, მოულოდნელად მიემგზავრება. მშობლის ემიგრაციით გამოწვეულ ტკივილთან გასამკლავებლად კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემო, თუ რამდენად ახლო და ნაცნობ გარემოცვაში აგრძელებს ბავშვი ცხოვრებას, რამდენად ფართოა მისი მხარდაჭერის ქსელი და ა.შ.

ემიგრაციის ფაზების კვალდაკვალ, იცვლება ბავშვების ემოციური მდგომარეობაც - მიტოვებისა და უარყოფის განცდას თან სდევს მონატრების, სევდის, ბრაზის, დანაშაულისა თუ პასუხისმგებლობის მძაფრი გრძნობა. ბავშვები ხშირად არიან გულჩათხრობილები და მელანქოლიურები, მარტივად ღიზიანდებიან და მუდმივად რეალობისგან მოწყვეტას ცდილობენ, ან პირიქით, ტრავმაზე პასუხი ჰიპერაქტიურობაში ვლინდება. ტრავმაზე პასუხი ბავშვებში ვლინდება ასევე კვებით დარღვევებში, მავნე ნივთიერებების მოხმარებაში, თვითდამაზიანებელ ქცევაში და სხვა. ზოგჯერ ბავშვების ემოციური მდგომარეობა იმდენად მძიმდება, რომ ისინი ფიქრობენ თვითმკვლელობაზე ან აქვთ თვითმკვლელობის მცდელობა.

მშობლის მიგრაციის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესზე. მშობლებისგან შორს ყოფნა, მშობლის მეთვალყურეობის, დახმარებისა და ემოციური მხარდაჭერის გარეშე დარჩენა, მშობლის მიგრაციით დამძიმებული ემოციური ფონი თუ ქცევითი აშლილობები, დისციპლინის რღვევა, ამცირებს განმავითარებელ და საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართულობას, ბავშვებს უქვეითდებათ მოტივაცია, უჩნდებათ ყურადღებისა და კონცენტრაციის დეფიციტი. ზოგჯერ, ემოციური სტრესისა შედეგად თუ პროტესტის ნიშნად, ბავშვები საერთოდ უარს აცხადებენ სკოლაში ან ბაღში სიარულზე. საგანმანათლებლო პროცესს ხელს უშლის მშობლის მიგრაციის შედეგად ბავშვისთვის დაკისრებული

მზრუნველობითი პასუხისმგებლობები, რასაც მნიშვნელოვანი გენდერული განზომილება აქვს, ვინაიდან დედის ემიგრაციის შემთხვევაში, ძირითადად გოგოებს უწევთ ოჯახის დარჩენილ წევრებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის აღება.

მშობლის მიგრაციის შემდეგ, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური სირთულეები და საგანმანათლებლო პროცესში არსებული გამოწვევები მიუთითებს მათი სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობაზე, როგორც ოჯახის, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ სახელმწიფო სამსახურების მხრიდან. ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზაზე კი როგორც ბავშვების ოჯახებში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ სახელმწიფო სამსახურებში არაერთი გამოწვევა იკვეთება. კვლევამ აჩვენა, რომ მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად ამცირებს მიგრაციის ნეგატიურ ზეგავლენას ბავშვზე. მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა, კავშირი მშობლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, უფრო ხშირად ეხება აკადემიურ და დისციპლინარულ საკითხებს და ნაკლებად ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ამასთან, მიმდინარე პრაქტიკა არ ითვალისწინებს მშობლის სრულფასოვან მონაწილეობას და ვერ უზრუნველყოფს ჩართულობას, რომელიც ყველა მშობლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.
საგანმანათლებლო სისტემაში სისტემურია ბავშვთა უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევები, დაწესებულებების პერსონალის დაბალი ცნობიერება და მგრძნობელობა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების მიმართ, არაკომპეტენტურობა და არაეთიკური ქცევა. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული გამოწვევები, ასევე, უკავშირდება სისტემური მიდგომების ნაკლებობას, ფსიქოლოგის ინსტიტუტის დაბალ ხელმისაწვდომობას, მანდატურის სამსახურისა და რეფერირების მექანიზმის მუშაობაში არსებული ხარვეზები. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული მუნიციპალური სტრუქტურებისა, ბავშვთა დაცვის სისტემაში კოორდინაციისა და ერთიანი მიდგომის ნაკლებობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, არსებული პროგრამები ფოკუსირებულია მხოლოდ ეკონომიკურად მოწყვლად ოჯახებზე, რის შედეგადაც მიგრანტი მშობლების შვილების ფსიქო-ემოციური საჭიროებები ყურადღების მიღმა რჩება.

დასასრულს, წინამდებარე კვლევა კიდევ ერთხელ ააშკარავებს ტრანსნაციონალური ოჯახების, განსაკუთრებით კი სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შრომითი მიგრაციით გამოწვეულ გამოწვევებს და კვეთს არაერთ საკითხს, რომელთა პრევენცია თუ გადაჭრაც შეუძლებელი იქნება, რაც არ უნდა ეფექტურ გზებს მიმართონ ოჯახებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მუნიციპალურმა თუ ეროვნულმა საჯარო სამსახურებმა. ამ გამოწვევებთან ბრძოლა სისტემურ ცვლილებებს გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ნაკლებად უწევდეთ „იძულებითი“ ემიგრაცია ოჯახების ეკონომიკური გადარჩენის ძიებაში. კვლევა ასევე ააშკარავებს მნიშვნელოვან გამოწვევებს საგანმანათლებლო სისტემაში, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს, არამედ ზოგადად ბავშვთა უფლებების მნიშვნელოვან და სისტემურ დარღვევებზე მიუთითებს და რომლებიც ვერ გადაიჭრება მხოლოდ ემიგრანტების

შვილების საჭიროებებზე მორგებული ნაბიჯებით. მანამდე კი, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მყისიერ საჭიროებებზე საპასუხოდ, წინამდებარე კვლევა შესაბამის პირებს, დაწესებულებებსა თუ უწყებებს სთავაზობს მონაცემებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს.

რეკომენდაციები

სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, საერთაშორისო თუ ქართულ ლიტერატურაში სიღარიბით გამოწვეული ემიგრაციის მიზეზებთან - უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება - გამკლავებით იწყება საუბარი, და ფოკუსი კეთდება ზოგადად ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერებაზე, მიგრაციის რეგულირებაზე და ღირსეული შრომის პირობების შექმნაზე, ტრანსნაციონალური ოჯახების გაერთიანების მხარდაჭერაზე, და სხვა. წინამდებარე კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ფოკუსირებულია მშობლის ემიგრაციის პირობებში, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრაზე.

ემიგრაციაში მყოფი მშობელისა და სამშობლოში დარჩენილი მზრუნველისთვის

- ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ბავშვთან **წინასწარი კომუნიკაცია,** რათა მას ადეკვატურად მიეწოდოს ინფორმაცია მშობლის ემიგრაციის მიზეზებზე, პროცესსა და მოსალოდნელ ცვლილებებზე. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის ჩართვა, ფსიქო-ემოციური რისკების სწორად განსაზღვრისა და ბავშვისთვის სათანადო ემოციური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.
- მნიშვნელოვანია სამშობლოში დარჩენილ ბავშვზე **ფაქტობრივად მზრუნველი პირი შეირჩეს** ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, სურვილების და ემოციური კეთილდღეობის გათვალისწინებით. ამასთან, აუცილებელია მზრუნველთან შეთანხმება აღზრდის პრინციპებსა და მიდგომებზე, ბავშვის განვითარებისთვის სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.
- ემიგრაციაში წასვლამდე, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის **ინფორმაციის მიწოდება ქვეყანაში დროებითი არყოფნის შესახებ** და ოფიციალურად მინდობილი პირის განსაზღვრა, იურიდიული დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად და საჭირო სერვისებზე (მაგ. სოციალური დაცვა, საგანმანათლებლო მხარდაჭერა) წვდომის უზრუნველსაყოფად.
- ემიგრაციის პერიოდში, მნიშვნელოვანია მშობლის ყურადღება ეთმობოდეს არა მხოლოდ ბავშვის ფიზიკურ, არამედ **ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.** მათ შორის, ფსიქო-ემოციური სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მშობელმა მიმართოს შესაბამის პირებს შესაბამისი მხარდაჭერის დროულად აღმოსაჩენად.

ბავშვზე ზრუნვის ცენტრალური და ადგილობრივი უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის

- სოციალური მომსახურების სააგენტოს, განათლების სამინისტროსა და სხვა შესაბამისი სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების მონაწილეობით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განისაზღვროს სამშობლოში დარჩენილი **ბავშვის დეფინიცია,** შესაბამის პროგრამებში ამ კატეგორიის ინტეგრირების მიზნით.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (GEOSTAT) და განათლების სამინისტროს მონაწილეობით, შეიქმნას **მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის მექანიზმი**, რომელიც ხელს შეუწყობს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების დროულ გამოვლენას, სტიგმატიზაციის გარეშე. ეს შესაძლებელია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) და/ან ეროვნული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში შესაბამისი მონაცემების ინტეგრირებით. სტიგმის შემცირების მნიშვნელოვანი ნაწილია შესაბამისი ტერმინოლოგიის განსაზღვრა და დამკვიდრება. რეკომენდირებულია ტერმინის „სამშობლოში დარჩენილი ბავშვი“ გამოყენება, ვინაიდან ინგლისურ ენაში დამკვიდრებული ტერმინის პირდაპირი თარგმანი - „სამშობლოში დატოვებული ბავშვი“ - ხელს უწყობს დანაშაულის გრძნობის გაღვივებას მშობლებს შორის და ხელს უწყობს მათ სტიგმატიზაციას.
- ბავშვის უფლებათა კოდექსის ფარგლებში, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურები/განყოფილებები გასცდნენ მხოლოდ ეკონომიკური მხარდაჭერის ჩარჩოს და ბავშვების კეთილდღეობის სრულფასოვნად უზრუნველყოფის მიზნით, დანერგონ ბავშვთა ფსიქო-სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული პროგრამები, შესთავაზონ ბავშვებს ფიზიკურ და ემოციურ განვითარებაზე ორიენტირებული დარგობრივი სერვისები.
- **საქართველოს პარლამენტის ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს და საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელობით,** ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე შეიქმნას მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბავშვის ზრუნვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებს შორის **ეფექტური კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემურ პროცესს.**
- შემუშავდეს **ცნობიერების ამაღლების კამპანია,** რომელიც ერთი მხრივ, დაამსხვრევს ემიგრაციისა და სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ არსებულ სტერეოტიპებს, მეორე მხრივ კი, გაავრცელებს ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგთან მიმართვის ნორმალიზების შესახებ.
- **შემუშავდეს გზამკვლევი** ოჯახის წევრებისთვის გამგზავრებამდე მომზადებისთვის, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების უფლებების დაცვისთვის, მზრუნველობითი პასუხისმგებლობების გადაცემისთვის, ტრანსნაციონალური კომუნიკაციისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერისთვის, კრიზისული სიტუაციების პრევენციასა და მართვაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ბავშვის რეგისტრაციის არსებულ ფორმას დაემატოს** ყოველწლიურად განახლებადი კითხვარის ფორმა, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, შეაგროვებს საჭირო ინფორმაციას ბავშვის ეკონომიკურ და სოციალურ-ემოციურ საჭიროებებზე, მათ შორის მშობლის ემიგრაციის ისტორიასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე, ბავშვების საჭიროებებზე ინფორმირებული ნაბიჯების გადადგმის უზრუნველსაყოფად.
- შესაბამისი უწყებების ჩართულობით, **საგანმანათლებლო პერსონალისთვის შემუშავდეს გზამკვლევები**, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრავს ერთიან სტანდარტებს და მიდგომებს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მხარდაჭერისთვის. ასევე, აუცილებელია პერსონალის გადამზადება აღნიშნული სტანდარტების დროულად და ეფექტურად გამოყენების მიზნით.
- ქვეყნის ემიგრაციული პროფილის გათვალისწინებით, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნას და დაინერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ემიგრაციაში მყოფი **მშობლების აქტიურ ჩართულობას** საგანმანათლებლო პროცესში, ბავშვებისთვის მშობლის არყოფნით გამოწვეული უარყოფითი ემოციების შემსუბუქების მიზნით.
- აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული **ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების** გაძლიერება და იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა, რომლებიც ბავშვების ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობაზე არიან პასუხისმგებელნი. მათ შორის, მნიშვნელოვანია მშობლების, მზრუნველებისა და მასწავლებლების აქტიური ჩართულობა, რათა საჭიროების შემთხვევაში ბავშვებმა დროულად მიიღონ ფსიქოლოგიური დახმარება.
- **აუცილებელია რეფერირების მექანიზმების გაძლიერება,** პროცესში ჩართული პირების რეგულარული გადამზადება და მუდმივად განახლებადი პრაქტიკების დანერგვა, მათ შორის ძალადობის ფორმებზე და მასზე რეაგირების გზებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია უკუკავშირის სისტემის დანერგვა, რომელიც ფსიქოლოგებისა და ფსიქოთერაპევტების შეფასების საფუძველზე, დაწესებულებას/მშობლებს მიაწვდის რეკომენდაციებს საჭირო მიდგომების შესახებ, რათა პრობლემები არ განმეორდეს.

ბიბლიოგრაფია

Antia, K., Rodoreda, A. B., and Winkler, V. (2022). Parental Migration and Left-behind Children in Georgia – School Teachers' Experience and Perception: A Qualitative Study, *BMC Public Health,* 22(2077), pp: 1-11

Badea, V.R. (2020). *Council of Europe Parliamentary Assembly report on impact of labour migration on left-behind children,* ხელმისაწვდომია https://pace.coe.int/en/files/28741/html

Barth, D.F. (2009). Frozen in Time: Idealization and Parent-Blaming in the Therapeutic Process, *Clinical Social Work Journal,* 38, pp: 331-340

Bezzi, C. (2013). Romanian "Left Behind" Children? Experiences of Transnational Childhood and Families in Europe, *Martor*, 18, pp: 57-74

Bretherton, I. (1985). Attachment Theory: Retrospect and Prospect, *Monographs of the Society for Research in Child Development,* 50 (1/2), pp: 3-35

Cebotari V, Siegel M, Mazzucato V. (2018). Migration and child health in Moldova and Georgia, *Comparative Migration Studies,* 6(3), pp: 2-22

Cortes, P. (2015). The Feminization of International Migration and its Effects on the Children Left Behind: Evidence from the Philippines, *World Development,* 65, pp: 62-78

ICMPD. (2023). *Children Left Behind by Labour Migration: Transnational Families in the EU. Closing Report,* ხელმისაწვდომია https://fspac.ubbcluj.ro/castleaction/application/files/9917/3134/6874/CASTLE_Closing_report.pdf

Fellmeth, G., Rose-Clarke, K., Zhao, C., Busert, L.K., Zheng, Y., Massazza, A., Sonmez, H., Eder, B., Blewitt, A., Lertgrai, W., Orcutt, M., Ricci, K., Mohamed-Ahmed, O., Burns, R., Knipe, D., Hargreaves, S., Hesketh, T., Opondo, C., Devakumar, D. (2018). Health impacts of parental migration on left-behind children and adolescents: a systematic review and meta-analysis, *Lancet*, 392(10164), pp: 2567-2582

Jurkovic, G. J. (1997). *Lost childhoods: The plight of the parentified child.* Brunner/Mazel

Hooper, L. M. (2007). The application of attachment theory and family systems theory to the phenomena of parentification, *The Family Journal,* 15(3), pp: 217–223

Mazzucato, V., Cebotari, V., and Siegel, M. (2016). Migration and the education of children who stay behind in Moldova and Georgia, *International Journal of Educational Development*, *51*, pp: 96-107

Simha-Alpern, A. (2018). The Idealized "Other": A Reparative Fiction, in Memories and Monsters. (2018), fFirst Edition, Routledge.

UNICEF. (2021). *Children of migrants: Children of labour migrants who are left behind with relatives or put into institutions are extremely vulnerable to abuse and violence,* ხელმისაწვდომია https://www.unicef.org/tajikistan/children-migrants

UNICEF. (2006). *The Situation of Children Left Behind by Migrating Parents – Study,* ხელმისაწვდომია http://www.childrenleftbehind.eu/wp-content/uploads/2011/05/2006_CRIC-UNICEF_CLB_Moldova1.pdf

Vanore, M. T. (2015). Family-member migration and the psychosocial health outcomes of children in Moldova and Georgia, ხელმისაწვდომია https://cris.maastrichtuniversity.nl/ws/portalfiles/portal/1635718/guid-67fa2a26-bac5-49ff-adbe-cef3c0d0b74d-ASSET1.0.pdf

Wickramage, K., Siriwardhana C, and Peiris, S. (2015). *Promoting the health of left-behind children of Asian labour migrants: evidence for policy and action,* IOM-MPI Issue in Brief No. 14, ხელმისაწვდომია https://publications.iom.int/books/iom-mpi-issue-brief-no-14-promoting-health-left-behind-children-asian-labour-migrants

არეშვილი, ა. (2021ა). *ტყიბულელ ქალთა ცხოვრების, შრომისა და მიგრაციის თავისებურებები.* სოციალური სამართლიანობის ცენტრი: ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/tqibulel-kalta-tskhovrebis-shromisa-da-migratsiis-taviseburebebi

საქსტატი *(ა),* „მოსახლეობა და დემოგრაფია“, ხელმისაწვდომია https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

საქსტატი *(ბ),* „0-14 წლის ასაკის ბავშვთა ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით (ათასი)“, ხელმისაწვდომია https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva

საქსტატი, გაეროს ბავშვთა ფონდი, „განათლების ხელმისაწვდომობა“, ხელმისაწვდომია https://www.unicef.org/georgia/media/8191/file/განათლების%20ხელმისაწვდომობა.pdf

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლები და მშობლების მიგრაციული პროფილი (%).....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 2: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წილი 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებებში რეგისტრირებულ ბავშვებში, რეგიონების მიხედვით (%)..... 11
დიაგრამა 3: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მშობლების მიგრაციული პროფილი რეგიონების მიხედვით (%) 12
.....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 4: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი... (%) .....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 5: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთი? (იმ 38%-დან, რომელიც ხედავს მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდას, სტრესსა და შფოთს ბავშვებს შორის. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %).....**Error! Bookmark not defined.**

დიაგრამა 6: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, აგრესიის განცდა... (%).....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 7: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების აგრესია? (იმ 18%-დან, რომელიც ხედავს აგრესიას ბავშვებს შორის. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %) .....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 8: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლების მხრიდან, სხვა თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიმართ აგრესია/ბულინგი... (%) .....**Error! Bookmark not defined.**
დიაგრამა 9: აღმზრდელების დაკვირვებით, თანატოლებთან შედარებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს შორის, გამოწვევები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში... (%) 31
დიაგრამა 10: ძირითადად, რა ფორმით გამოიხატება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების გამოწვევები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში? (იმ 10%-დან, რომელიც ხედავს გამოწვევებს საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %) 31
დიაგრამა 11: რამდენად არიან ჩართულები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტი მშობლები საგანმანათლებლო/განმავითარებელ პროცესში? (%) 37
დიაგრამა 12: რამდენად ხშირად უკავშირდებით სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობელს/მშობლებს? (%) 37
დიაგრამა 13: რომელი საკომუნიკაციო არხების საშუალებით უკავშირდებით სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მიგრანტ მშობელს/მშობლებს? (იმ 68%-დან, რომელსაც კომუნიკაცია აქვს ემიგრანტ მშობლებთან. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, %) 38
დიაგრამა 14: რამდენად არიან ჩართულები სამშობლოში დარჩენილი ბავშვების აღმზრდელები/კანონიერი წარმომადგენლები საგანმანათლებლო პროცესში? (%) 38
დიაგრამა 15: თქვენი დაკვირვებით, ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისადმი სამშობლოში დარჩენილი ბავშვები როდის უფრო მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას? (%) 39
დიაგრამა 16: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებიდან გამომდინარე (ძალადობის/არასათანადო მოპყრობის, მზრუნველის მხრიდან არასაკმარისი ყურადღების, ან სხვა სახის ეჭვის შემთხვევაში) დასჭირვებია თუ არა დაწესებულებას პოლიციის და/ან სოციალური სამსახურის, რომელიმე სხვა დაწესებულების გამოძახება? (%) 40
დიაგრამა 17: თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას დაწესებულებამ მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მხარდასაჭერად? (%) 40
დიაგრამა 18: რა ნაბიჯები გადაუდგამს დაწესებულებას დღემდე მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მხარდასაჭერად? (%).....**Error! Bookmark not defined.**